საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს. აღდგენილია 1990 წელს. №209 (4268) პარასკევი, 30 აგვისტო, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტი



„წვრთნისა და აღჭურვის“ მესამე ეტაპი: შეიარაღებული ძალების სრული და საფუძვლიანი რეფორმირება

29 აგვისტოს დაიწყო ქართველ სამხედროთა ტაქტიკური მომზადების მესამე ფაზა პროგრამის „წვრთნა და აღჭურვის“ ფარგლებში. ამ მოვლენას სასწავლო ბაზაში „კრწანისი“ საზეიმო ცერემონია მიეძღვნა.

წვრთნის ამ ფაზაში მონაწილეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალებისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოტომსროლელთა ჯგუფის ოცეული - სულ 450-მდე სამხედრო პირი. ამერიკელ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით ქართველი ახალგაზრდები საველე პირობებში, სამი თვის განმავლობაში გაივლიან წვრთნის პროგრამის ახალ ეტაპს. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, საქართველოში თანამედროვე და პროფესიული არმიის ჩამოყალიბებას და ქვეყანაში უშიშროების განმტკიცებას.

იხ. მე-2 გვ.

პოზიცია

ევროკავშირმა განცხადება გააკრიტიკა

„ევროკავშირი სერიოზულადაა შეშფოთებული ეუთოს მეთვალყურეთა მიერ დადასტურებული ცნობით სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საპაერო სივრცის დარღვევისა და 23 აგვისტოს საქართველოს ჩრდილოეთით სოფლების დაბომბვის შესახებ, რომლის შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.“ ეს არის ნათქვამი 29 აგვისტოს ბრიუსელში გავრცელებულ ევროკავშირის განცხადებაში.

„ევროკავშირი ... წოდებულ ვორკულ მარეგულირებლებს იჩინონ თავშეკავებულობა და პატივი სცენ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას,“ – ნათქვამია დოკუმენტში.

ევროკავშირი ასევე მიმართავს თხოვნით მხარეებს „იმუშაონ ერთად გამჭვირვალეობის სულისკვეთებით და ითანამშრომლონ უშიშროების სფეროში მათი კანონიერი მეშფოთების გამო პასუხების მოსაძებნად“.

რია-ნოვოსტი – საქინფორმი.

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

მთავრობის სხდომის წინ

არამი ლუკმა

დევნილებისთვის გამოყოფილი თანხების დაგაცება ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უსინდისო ადამიანები ხელს ითბობენ გაჭირვებულთა უბედურებაზე.

ხელისუფლება შეწუხებულია შექმნილი მდგომარეობით და მოითხოვს ბუსგი სურათის წარმოდგენას, თუ რა ვითარებაა ამ ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და რეაგირების მხრივ. სამიოდ კვირის წინათ, 7 აგვისტოს, ეს მოთხოვნა მთავრობის დადგენილებითაც კი დაფიქსირდა.

დღეს მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთხელ ისაუბრებენ დევნილი მოსახლეობის კუთვნილი სახსრების დაგაცების ფაქტების ირგვლივ. მკითხველს გავაცნობთ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ.

შარშან შინაგან საქმეთა სამინისტრომ დევნილთა თანხების დაგაცების 68 ფაქტი გამოაშელინა, დაგაცებულმა თანხამ 3746 ათასი ლარი შეადგინა. წლეულს იანვარ-იელისში კი გამოვლენილია 37 დანაშაული, დაგაცებულმა თანხამ 824 ათას ლარს გადააჭარბა.

მაგალითად, წლეულს პოლიციამ ამხილა საქართველოს ლგოლეთლთა და განსახლების სამინისტროს წევრების განყოფილების სპეციალისტი არჯევანიძე, რომელმაც დევნილებად გააფორმა 10 არარსებული პირი და მიისაკუთრა 5 ათასი ლარი. ამავე განყოფილების სპეციალისტმა ჯოლიამ დევნილად გააფორმა 28 პირი და მითვისა 20 ათასი ლარი.

ასეთი დანაშაულობანი გამოვლენილია თბილისში, რუსთავში, ბუგდადის, სენაკის, მარგვილის, ამბროსის, გარდაბნის და სხვა რაიონებში.

იხ. მე-4 გვ.

გამოხმაურება

საქართველო თავისი ძალებით დაასრულებს ოპერაციას პანკისის ხეობაში

„საქართველო თავისი ძალებით გაგრძელებს და ბოლომდე მიიყვანს კიდევ ოპერაციას პანკისის ხეობაში. გაწმენდს მას კრიმინალური ელემენტებისა და ტერორისტებისაგან“,– ეს განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პრესმდივანმა კახა ბენაძემ. მან აღნიშნა, რომ „საქართველო მზად არის ითანამშრომლოს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთანაც, მაგრამ ლაპარაკიც არ შეიძლება პანკისის ხეობაში ოპერაციაში ნებისმიერი უცხოური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობაზე“.

განმარტა რა ჩიგამი ვლადიმერ პუტინის მიერ გამოთქმული სიტყვები, კახა ბენაძემ თქვა: „თბილისი ვარაუდობენ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს არ აწუხებთ ამბიციური ტერორიზმი საქართველოში. საქართველო-რუსეთის საზღვარზე და, კერძოდ, პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ“.

იხ. მე-2 გვ.

მსოფლიო გმობს

ადასავლეთის მასობრივი ინფორმაციის სამუალებები გაოცებასა და გულისწყრომას გამოთქვამენ „ყოვლად უმაგნო ომის“ წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთი ტერორის აღსაკვეთად მიმდინარე ომს უწოდებს. ფაქტობრივად, უგუნური სასასტიკე, რომლითაც ეს ომი წარმოებს, ხელს აძლევს მხოლოდ და მხოლოდ „ტერორისტებს“, ხაზს უსვამენ მიმომხილველები.

უცხოეთის პრესა პანკისის შესახებ

THE INDEPENDENT (დიდ ბრიტანეთი), 26 აგვისტო:

რაზეზის მიერ ჩეჩნეთის საკარაული საერლური პენტეგების დაბომბვა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში და ის მკვეთრი საყვედური რუსეთის მისამართით, რომელიც ამ აქციამ გამოიწვია ვაშინგტონში, შეგვახსენებს, რომ ტერორის წინააღმდეგ ომში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ვერ ექნება კარგ-ბლანშის იმედი. 11 სექტემბრის ამბების შემდეგ, რუსეთის მოკავშირედ და მომხრედ შემორიგება განხორციელდა იმ იმედით, რომ შეერთებული შტატები თვალს დახუჭავდა ჩეჩნეთში მოსკოვის არაკომპეტენტური და სასტიკი ომის გაგრძელებაზე, ომისა, რომელსაც კრემლი ასაღებს გლობალურ კამპანიად რადიკალური ისლამური ტერორიზმის აღმოფხვრისათვის.

სინამდვილეში, შეერთებულმა შტატებმა ჩეჩნეთის მეზობელ საქართველოში გაგზავნა თავისი მრჩევლები, რათა დაეხმაროს თავის მეგობარს, ელეარდ შევარდნაძეს. დაამყაროს კონტროლი ალბეთის პანკისის ხეობაში. რუსებიც და ამერიკელებიც აცხადებენ, რომ ამ ტერიტორიას ჩენნი მეამბოხენი იყენებენ, როგორც ბაზას საზღვრის გადასასელელად. მაგრამ ბ-ნი ბუშის მრჩეველებმა დღეს განაცხადეს, რომ მოსკოვმა მეტისმეტად შორს შეგოპა, როდესაც პარასკევს განახორციელა საპაერო დაბომბვა, რის შედეგადაც დაიღუპნენ საქართველოს მშვიდობიანი მცხოვრენი. რუსი სამხედროების მიერ ამ თავდასხმების ჯიუტი უარყოფა ნათლად ცხადყოფს იმ სიცრუესა და უუნარობას, რომლებიც მათი ოპერაციების დამახასიათებელ ნიშნად იქცა.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 28 აგვისტო ქ. თბილისი

მარიამ ლორთქიფანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ტოტალიტარიზმის წლებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და განმტკიცების მეცველი გამოკვლევებისა და საჯარო გამოსვლებისათვის, დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაეწლმოხილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ცნობისათვის: ღირსების ორდენით მეორედ დაჯილდოება იშვიათი გამონაკლისია. აქამდე ეს პატივი მხოლოდ 5 ხელოვნების მუშაკს ხვდა. ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე პირველი მეცნიერია, ვინც ღირსების ორდენი მეორედ მიიღო.

გიხაროდენ!

ოჯახის იმედი

ჩვენი ოჯახი შეილიმეილების შემომატებით ხარობს. თბილისის მე-4 სამმობიარო სახლში თამარს ტყეში ქალ-ვაჟი შეეძინა. მშობიარე ქალისადმი აქ დიდი სამედიცინო პერსონალის ყურადღება. მადლობა მათ!

დღეს ხეუნი სახლი ტყეპების – მორენახა და დავითის შეძენის სიხარულითაა სავსე.

გმადლობთ თქვენც, რომ ჩვენი ოჯახის სიხარულს იზიარებთ. შეილებით ხომ ახალგაზრდა ოჯახი ეურო მტკიცე ხლება და მშობლებსა და მის გარშემო მყოფი მოვალეობებიც იზრდება.

ყურადღებას არ მოვალეობთ ახალშოლოგინებულ რძალსა და შეილიშეილებს. მორენა და დავითი ჯანმრთელები არიან.

ბესიკ გვეტაძე, თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სულიერება

თელავს წმინდა ნინოს ტაძარი აშენებს

თელავის წმინდა ნინოს ტაძარი.

კახეთის საგახტო ქალაქში და მის შემოგარენში, ბოლო ათითხუთმეტი წლის განმავლობაში, ახალი ტაძარი, ღვთის ახალი სახლი აღარ აშენებულა. და აი, საქართველოს ყველა მხარეში ასე მომრავლებულ ახალ ტაძრებს, თელავში, გიგოს გორაზე წამომართული წმინდა ნინოს სახელობის უმშვენიერესი ეკლესია შეემატა.

ეს შემაღლებული, მწვანეში ჩაფლული წალკოტი საუკუნეების წინათ ცნობილ მემამულეს, თავად გიგო ვახვახიშვილს ეკუთვნოდა. იქიდან მოყოლებული ჰქვია მას გიგოს გორა, თუმცაღა, მეოცე საუკუნის ოციან წლებში (1921-24 წ.წ.) და მერეც, შემბარავი რეპრესიების ხანაში (1937-38 წ.წ.) აქ თავად-აზნაურობას და „ხალხის მტრებს“ ხვრეტდნენ... თელაველებმა სწორედ ამიტომ მას ცოდვის გორაც შეარქვეს.

იხ. მე-10 გვ.

უახლესი ისტორია

საქართველოს კონსტიტუცია – ტერაქტების სამიზნე

შვიდი წლის წინათ, 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუცია მიიღო, – ქვეყნის ძირითადი კანონი. 29 აგვისტოს მოხდა ტერაქტი – თავს დაესხნენ სახელმწიფო მეთაურს. ედუარდ შევარდნაძე სასწაულებრივ გადარჩა.

ქამეხილი, რომელმაც შემდგომ ბევრად განსაზღვრა საქართველოში მიმდინარე პროცესები – პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური.

რედაქციის სტუმარია ბაგონი ბაკურ ბულუა, იმ დროს საქართველოს პარლამენტის წევრი, მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი, რეფორმაგორთა კავშირის თავმჯდომარე.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

დღეს – ბარისახოში, ხვალ – სხვაგან

რუბრუს ცნობილია, ამ დღეებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები გადაადგილდა დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს მიდამოებში. როგორც ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა, დავით თევზაძემ განაცხადა, ეს არის კომპლექსური წვრთნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს საზღვრის გადაფარვის ოპერაციის დახვეწას. ამ კონტექსტში ამას წინათ ბარისახოში შესული ჯარის ნაწილი შესაძლოა ხვალ სულ სხვა რეგიონში აღმოჩნდეს.

საზღვრის დაცვა გაძლიერდება

საქართველოს სასამღვრო უწყებას განზრახული აქვს უახლოეს მომავალში გააძლიეროს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთის და დაღესტნის მონაკვეთების დაცვა. საზღვრის გაძლიერება მოხდება საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებს მიერ საზღვრისპირა რაიონებში დაწყებული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის ფარგლებში.

უცხოეთის სამხედრო დახმარებას არ მივიღებთ

თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ხუთშაბათს ეროვნულისტებს განუცხადა, რომ საქართველო არც რუსეთისგან და არც სხვა სახელმწიფოსგან პანკისის ხეობის პრობლემის მოსაგვარებლად სამხედრო დახმარებას არ მიიღებს. მისი თქმით, „არანაირ ერთობლივ სამხედრო ოპერაციაზე საუბარი არ შეიძლება იყოს, კიდევ იმიტომ, რომ ასეთ ქმედებას ქვეყნის კონსტიტუცია არ თვალისწინებს“. ძალოვანი სტრუქტურები „დასმულ ამოცანას ლიტერალურ წერტილამდე დამოუკიდებლად მიიყვანენ“.

თავდასხმა პოლიციელზე

ცხინვალთან ახლოს დაუდგენელი პირები, ხუთშაბათს ღილას თავს დაესხნენ სოფელ ქურთის პოლიციის თანამშრომელს ელგუჯა ბუგიანიშვილს, რომელიც საკუთარი ავტომანქანა „ნივთით“ მცირეწლოვან შვილთან ერთად სოფელ ხეითიდან ქურთის მიმართულებით სამსახურში მიდიოდა.

პოლიციის თანამშრომელი ამყამად ქურთის საავადმყოფოშია მთავაზებული ტვინის შერყევის ნიშნებით. როგორც დაზარალებული აცხადებს, თავდამსხმელები ოსურ ენაზე საუბრობდნენ, თუმცა გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ისინი ოსები იყვნენ, ჯერ შეუძლებელია.

ვინ დაწვა კარი?

თბილისის სახანძრო სამსახურმა წარმოადგინა დასკვნა იმის თაობაზე, რომ 1 აგვისტოს აჭარის წარმომადგენლობის კარის დაწვა გაწმრახ ჩადენილი დანამაულია. ამ დასკვნის მიხედვით ჯერ-ჯერობით დაუდგენელმა პირებმა კარებზე ბენზინი მიასხეს და ამ გზით გააჩინეს ხანძარი.

რუსეთი პასუხს ელოდება

საქართველოს გენერალური პროკურატურა საზღვრის დარღვევისათვის 3-4 აგვისტოს დაკავებული 13 ჩეჩენის ექსტრადიციაზე რუსეთის მხარისათვის პასუხის გაცემას უახლოეს მომავალში აპირებს. ამ ეტაპზე რუსეთის პროკურატურის მიერ გამოგზავნილი მასალების საბოლოო შესწავლა ჯერ არ არის დასრულებული. საქმის მასალების გაცნობას ითხოვენ დაკავებულების ადვოკატებიც.

რუსეთის მხარისათვის ექსტრადიციაზე საბოლოო პასუხის გაცემა სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა პერიოდი დასჭირდებათ განსასჯელების ადვოკატებს საქმის გასაცნობად. ამასთან, არ გამორიცხავენ, რუსეთიდან დამატებითი მასალების გამოთხოვის შესაძლებლობას, რადგან დაკავებული ჩეჩნების საქმის შესწავლის პროცესში მათ დამატებითი დოკუმენტები ორჯერ უკვე დასჭირდათ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

ინტერპანორამა

ჩეჩენ სეპარატისტთა წარმომადგენელმა მოვლადი უდუგომა უარყო რუსეთის სადაზვერვო სამსახურების მიერ წამოყენებული ბრალდება, თითქოს ჩეჩნეთის საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე ნაპოვნია მასობრივი სამარხები. მან მოსკოვი დაადანაშაულა, რომ ფართო საზოგადოებრიობას უნერგავს უარყოფით აზრს ჩეჩენთა შესახებ.

ბაერს განსაკუთრებული რწმუნებული ახლო აღმოსავლეთში ტერეე რუდ-ლარსენმა განაცხადა, პალესტინელებს პრემნიტარული კატასტროფა ემუქრებაო და ისრაელს მოუწოდა, შეასუნტოს ტერიტორიის ბლოკადა. მისი სიტყვით, იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზაში საყოველთაო გაჭირვება და უმუშევრობა საგანგაშოა.

ხაბაროვსკის მხარეში უკვალოდ დაიკარგა საგვიერთო თვითმფრინავი ან-28. მასზე იმყოფებოდა სამი ეკიპაჟის წევრი და 14 მგზავრი.

ფეხბურთი

შინ და გარეთ

გუშინ ჩვენმა საფეხბურთო გუნდებმა – თბილისის „ლოკომოტივმა“ და „დინამომ“ გამართეს უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურის განმეორებითი მაგჩები. „ლოკომოტივის“ შეხვედრა დანიის „კოპენჰაგენთან“ დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით 4:1, „დინამოსა“ და ტალინის ტმმ-ს ორთაბრძოლში კი გამარჯვეს დინამოელებმა 1:0.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +17; დღისით +28;
მთაში: ღამით +12; დღისით +14;

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +15; დღისით +20;
მთაში: ღამით +10; დღისით +16;

თბილისში

ღრუბლიანი ამინდი, ხანმოკლე წვიმა.
ღამით +15; დღისით +20.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი.

ლარის კურსი

27 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.3349 ლარი
აშშ დოლარი	1	2.195 ლარი
ევრო	1	2.1274 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0695 ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

ბარლამენტელა მარგოხელა მეზობელი, რომელსაც მიულებელი დარჩა 5 თვის სოციალური (ოჯახური) დახმარება. ვინაიდან არავინ ჭყავდა, დავკრძალეთ მეზობლებმა. გვაქვს თუ არა უფლება ავიღოთ მისი კუთვნილი თანხა?

ოლდა კანდელაკი.

სოციალური (ოჯახური) დახმარების მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მის სიცოცხლეში გაუცემელი დახმარების მიღების უფლება კანონით ენიჭება მასთან ერთად მცხოვრებ ასევე სოციალურად დაუცველ, საოჯახო დახმარების უფლების მქონე პირს. ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში, სხვა პირზე (მათ შორის მეზობელზე). გარდაცვლილის მიერ მიულებელი თანხა არ გაიცემა.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

დღის ანეკდოტი

პეტრეს მშვიდად სძინავს იმიტომ, რომ ყველა გადასახადი დროზე გადაიხადა.

პავლეს მშვიდად სძინავს იმიტომ, რომ სძინავს პავლეს სინდისს.

და თუ არავითარი განსხვავება არ არის, მაშინ ღირს კი ფულის მიცემა?

უკანასკნელ საათს

ვენეციაში გაიხსნა მსოფლიოში „უხუცესი“ ვენეციის კინოფესტივალი. წლეულს ის 59-გეჯ გარდება. 10 დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება პოლივუდისა და სხვადასხვა ქვეყნის ახალი ნამუშევრები.

მთავარი პრიზი – „ოქროს ლომისათვის“ 21 ფილმი იბრძოლებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფრანგული ფულით გადაღებული ფილმი 11 სექტემბრის მოვლენებზე.



ერაყის ვიცე-პრემიერმა თაპა იასონ რამადანმა განაცხადა, არავითარი აზრი არა აქვს საერთაშორისო ინსპექციის განახლებას, რადგან ამშ-ს მგეიცედ .აქვს განზრახული ერაყისათვის დარტყმაო. მან თქვა, რომ ამერიკელთა მუქარას სერიოზულად აღიქვამს.

მხარში დგომა

გერმანიის მთავრობა მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში გვეხმარება

გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შენობების აღსადგენად 2,5 მილიონი ევრო გამოყო. ეს გადაწყვეტილება გერმანიის მთავრობამ იმ მოწოდების პასუხად მიიღო, რომლითაც 25 აპრილის მიწისძვრის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებრიობას მიმართა საქართველოს მთავრობამ.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 209. პარასკევი, 30 აგვისტო, 2002 წელი

ПРЕЗИДЕНТИ

„წვრთნისა და აღჭურვის“ მესამე ეტაპი: შეიარაღებული ძალების სრული და საფუძვლიანი რეფორმირება



(პირველი გვერდიდან)

პროგრამის ხელმძღვანელმა საქართველოში ამერიკელმა მაიორმა დევიდ გროსომ ღონისძიების მონაწილეებს მიულოცა სწავლების დაწყება და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კიდევ ერთხელ აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მაიორმა ილაპარაკა პროგრამის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ იგი მიზნად ისახავს ქართული სამხედრო ქვედანაყოფების შესაძლებლობათა გაზრდას, მათი დახმარებით საქართველოს მოქალაქეთა უშიშროებისა და რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფას. როგორც დევიდ გროსომ აღნიშნა, მეორე ეტაპზე ორასზე მეტმა ქართველმა ოფიცერმა და მეთაურმა წარმატებით გაიარა საქართველოში წვრთნისა და აღჭურვის კურსი და რწმენა გამოთქვა, რომ ასეთივე წარმატებული იქნება წვრთნის მესამე ეტაპიც.

– საქართველოსადმი ჩემი ქვეყნის მხარდაჭერის კიდევ ერთი მაგალითია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარსარდალმა საქართველოში დასახმარებლად მოავლინა ჯარების სპეციალიშნულების ჯგუფებისა და საჰაერო ძალების საუკეთესო წარმომადგენლები, – განაცხადა დევიდ გროსომ.

სწორედ ეს სპეციალისტები განახორციელებენ პროგრამის მესამე ფაზას და ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს შეასწავლიან ტაქტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომანდოს ბატალიონი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოცეული შეისწავლიან საჰაერო გადაადგილების ტაქტიკას, მეთოდებსა და პროცედურებს. ეს პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალური საბრძოლო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ქვედანაყოფების შესაძლებლობის გაფართოებას.

ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ქართველი ჯარისკაცების „წვრთნისა და აღჭურვის“ ფარგლებში აღნიშნული პროგრამის განხორციელებას და იმედი გამოთქვა, რომ ახალგაზრდები პროფესიულ დონეზე დაეუფლებიან სპეციალობას, რაც დიდად წაადგება ქვეყნის უშიშროებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დაცვის საქმეს.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მესამე ფაზის დაწყების ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ:

ბატონო ელჩო,
ძვირფასო სტუმრებო,
ჯარისკაცებო, ოფიცრებო,
გენერლებო,

მინდა დღევანდელი დღე მოგილოცოთ, მოგესალმოთ სულითა და გულით და გისურვოთ ახალი წარმატებები.

დღეს 29 აგვისტოა. ეს ნიშნავს, რომ დაიწყო „წვრთნისა და აღჭურვის“ ქართულ-ამერიკული პროგრამის ახალი ფაზა. განვლილია საკმაოდ რთული და სასახელო გზა. დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის ბოლო ათწლეული მართლაც გამორჩეულია და ამ მხრივ საგანგებო მინდა გავუსვა ხაზი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის განსაკუთრებულ მეგობრულ და პარტნორულ ურთიერთობას, რომელმაც მართლაც ახალ დონეს მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ყველა სფეროში, მათ შორის, ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ განსაკუთრებულია მისი როლი სასაზღვრო ჯარების შექმნაში. ახლა კი ჩამოყალიბდა და მიმდინარეობს სრულიად ახალი პროგრამა, რომელსაც ეწოდება „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა.

11 სექტემბერი, ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ტრაგედიის დღე, კაცობრიობის ისტორიისათვის შემობრუნების წერტილი გახდა. ის მოვლენები, რომელთა მოწმეც ჩვენ გავხდით, საკაცობრიო მნიშვნელობისაა. დღეს ტერორიზმის დაძლევა მთელი მსოფლიოს ამოცანად გადაიქცა. ეჭვი არ მეპარება, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ საყოველთაო მოძრაობა მთელ მსოფლიოში წარმატებით დამთავრდება. მომავალში კი ჩვენ უნდა ველოდოთ ასეთსავე დაუნდობელ და მეურიგებელ ბრძოლას აგრესიულ სეპარატიზმთან, აგრესიულ ნაციონალიზმთან და მოვინიზმთან, რადგან სწორედ ეს მოვლენებია ტერორიზმის მკვებავი წყარო.

ქვედანაყოფები, რომელთა ფორმირება „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის საფუძველზე მიმდინარეობს, ეტალონია საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის. ფაქტობრივად, ამით იწყება რეალურად საქართველოს შეიარაღებული ძალების სრული და საფუძვლიანი რეფორმირება. მეამაყება, რომ გიყურებთ თქვენ, შესანიშნავ ახალგაზრდებს, რომელთაც უკვე გაიარეთ ძალიან რთული და სასახელო გზა. წინ უფრო დიდი საქმეები გელით. ეს არის სამშობლოს უშიშროება და სამშობლოს ინტერესების დაცვა. თქვენ უნდა იყოთ ქვეყნის სტაბილურობის ყველაზე უფრო საიმედო და შემოწმებული გარანტი.

გუშინ გახლდით პანკისის ხეობაში. ჩვენ უკვე ვმოქმედებთ პანკისში. ხეობაში არიან შინაგანი ჯარები, მინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროთა საბრძოლო ქვედანაყოფები და სპეცდანიშნულების რაზმები. იქვე ახლოს კი წვრთნას გადიან თავდაცვის სამინისტროს ასევე საგანგებო რაზმები. მათი ნაწილი გუშინ ხევსურეთში დაბანაკდა. ამ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველომ საკუთარი ძალებითა და საშუალებებით დაიწყო, მთელი მსოფლიო მიესალმება. და, რაც განსაკუთრებით სასიხარულო და მისასალმებელია, პანკისის ხეობაში ჩვენი ჯარების შესვლას გულწრფელად მიესალმებიან იქ მცხოვრები მოქალაქეები – ქართველები, ქისტები, ჩეჩნები, ოსები და მთელი საქართველო.

ზოგიერთს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არ მოსწონს და მხარს არ უჭერს საქართველოს დამოუკიდებელ მოქმედებას პანკისში, მაგრამ კანონზომიერება კანონზომიერებაა. ჩვენს პრობლემებს ჩვენ თავად გადავწყვეტთ და პანკისის ხეობა საქართველოში ერთ-ერთი სანიმუშო და სტაბილური რეგიონი იქნება.

მინდა ვისარგებლო ამ შემოხვევით და ყველას, ვინც იქ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას ასრულებს, შევუთვალო საუკეთესო სურვილები ჩემი და თქვენი სახელით.

ეს ცენტრი, სადაც თქვენ წვრთნას გადიხართ და სწავლობთ, ერთ-ერთი სანიმუშო იქნება საქართველოში. აქ იქნება საუკეთესო გზები, საუკეთესო შენობები და წვრთნის ყველა სხვა საშუალება. მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამ ბაზას, სადაც თქვენ ჩვენი სტუმრების ხელმძღვანელობით გადიხართ მომზადებას, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მსხვერპლთა ხსოვნისა და სახელის უკვდავსაყოფად, ეწოდოს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კრწანისის სასწავლო ცენტრის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მსხვერპლთა ხსოვნის სახელობის ცენტრალური სამხედრო პოლიგონი“.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენს ამერიკელ სტუმრებს, ინსპექტორებს, სპეციალისტებს, რომლებიც აქ ჩვენთან ერთად მუშაობენ და მუშაობენ ისე, როგორც ამერიკის, ამ დიდი და ძლიერი ქვეყნის წარმომადგენლებს შეეფერებათ.

გისურვებთ მხედრულ წარმატებებს და პირად ბედნიერებას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

ДАЖИЛДОЕБА

საქართველოს პრეზიდენტის **განკარგულება**

2002 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

საურმაგ ბუთხუზის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ნეირობიოლოგიის დარგის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ტკიეულისა და ანალგეზიის ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საურმაგ ბუთხუზი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

გაქცეული მეხუთე საპყრობილეში შეასახლეს

სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის რუსთავის მეორე დაწესებულებიდან ხუთშაბათს გამთენიისას გაქცეული

ОФИЦИАЛУРИ ИНФОРМАЦИА

ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებათა შესახებ

დიდი ქართველი მამულიშვილის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებლის, უცხოეთში საქართველოს ეროვნული განძის გადამრჩენელის, „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის“, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად 2003 წლის იანვართებერვალში სრულიად საქართველოში გაიმართება ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებები.

შეიქმნა აღნიშნულ ღონისძიებათა მომწყობი სახელმწიფო საიუბილეო კომისია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამართავენ ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებს, კონფერენციებს; გამოსაცემად მოამზადებენ ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა კრებულს, ცალკე წიგნად გამოსცემენ „ექვთიმე თაყაიშვილი და ნინო თაყაიშვილი-პოლტორაცკაია“; ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებებისათვის საჭირო სახსრებს ისინი გაათვალისწინებენ საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

თბილისის შერიის დაეუალა ვანიხოლის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში ექვთიმე თაყაიშვილის ბიუსტის დადგმის საკითხი; განახლდება თბილისში, ვაშლოვანის ქ. № 6-ში, ექვთიმე თაყაიშვილის მემორიალური დაფა; ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებები გაიმართება საქართველოს რეგიონებში.

ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

საქინფორმი.

САХЕЛМ�წИФО МИНИСТРИ

განხორციელდება განათლების სისტემის რეფორმირების პროექტი

საქართველოში **განათლების სისტემის რეფორმას ისახავს მიზნად საგანგებო პროექტი, რომელიც განიხილეს 29 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ თათბირზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები და ექსპერტები.**

როგორც განათლების მინისტრმა აღნიშნა კრებულმა თათბირზე აღნიშნა, პროექტის ამოცანაა საქართველოში განათლების ძალაი ხარისხის მიღწევა. ვინაიდან 21-საუკუნეში, გლობალიზაციის ეპოქაში საკუთარი ღირსეული ადგილის დამკვიდრება და ამავე დროს თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნება. ჩვენს ქვეყანას განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებამდე მიახლოებით შეუძლია.

განათლების სისტემის რეფორმირების თავისი პოზიცია აქვს თავისუფლების ინსტიტუტს, რომლის წარმომადგენლებმა საგანგებო წინადადებანი შეიმუშავეს. კერძოდ, მათი აზრით, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაუქმდეს მისაღები გამოცდები. სანაცვლოდ, თითოეულმა მოსწავლემ სკოლის დამთავრებისას უნდა მიაბაროს სახელმწიფო გამოცდები. „სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა დაინერგოს ორეტაპიანი შეფასების სისტემა. უნდა მოხდეს ლიბერალური განათლების მოდელზე გადასვლა. უნივერსიტეტი უნდა გახდეს არასამეწარმეო იურიდიული პირი და საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მიღებული შემოსავალი გათავისუფლდეს გადასახადებისაგან“, – ამ და სხვა წინადადებებს სთავაზობს მთავრობას თავისუფლების ინსტიტუტი.

„საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ქვეყანაში განათლების სისტემის სრულყოფა, ვინაიდან მცირერიცხოვანი ერის ადგილი ამ დიდ სამყაროში განისაზღვრება იმით, თუ რამდენ განათლებული საზოგადოება ქმნის მას. საზოგადოებრივი განათლების მაღალი ხარისხი კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრებას. სწორედ ამგვარ, ქვეყნის მთავრობამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად გადაწყვიტა ამ თვალსაზრისით სწორი სტრატეგიის შემუშავება და სერთიფიცირებული ნაბიჯების გადადგმა“, – განაცხადა თათბირზე სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ.

საქინფორმი.

„უსუსური გამონაგონი“

„უსუსური გამონაგონი“ უწოდა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის მოადგილემ ჯოლბორტ ბეროზოვი-ლმა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის მთელი რიგი საშუალებების ცნობებს იმის შესახებ, რომ, თითქოს ქართველ მფრინავს გიორგი რუსტელს სუ-25 კმ „სკორპიონის“ თვითმფრინავით დაებომბოს 23 აგვისტოს პანკისის ხეობა. ჟურნალისტებთან საუბარში მან თქვა, რომ „საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებში საერთოდ არ არის ასეთი ტიპის თვითმფრინავი, რადგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არა აქვს სახსრები ასეთი მოიერიშე თვითმფრინავის შესაძენად“. მისი თქმით, „ქვეყნის სახხედრო-საჰაერო ძალებს არა აქვთ მოიერიშე თვითმფრინავი, რომლის საბორგო ნომერია 15, არც მფრინავია საქართველოში, რომელიც რუსტელის გვარს აგარებდეს“.

„თბილისეიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვაჟა თორდიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ საავიაციო-საწარმოო გაერთიანებას ჰყავს „ერთი თვითმფრინავი სუ-25კმ „სკორპიონი“, რომლის ბოლო გაფრენა განხორციელდა ამა წლის 29 იელისს, რაკი ამ თვითმფრინავის მომსახურე ისრაელმა მფრინავმა იგი დიდ ბრიგანეთში გამართული გამოფენიდან თბილისში ჩამოიყვანა. მისი თქმით, ისრაელი მფრინავი სამშობლოში გაფრინდა და იელისის დამლეეიდან არავის უფრენია ამ თვითმფრინავით. მან ასევე განაცხადა, რომ „არც ერთი ქართველი მფრინავი დაუფლებული არ არის ამ თვითმფრინავის მართვას“. ვაჟა თორდიამ „ბოდვა“ უწოდა იმ მტკიცებებს, რომ საქართველოს მხარემ გადაღება თვითმფრინავის საბორგო ნომერი და შეცვალა იგი რუსული ნომრით, ხოლო სიბრტყეებსა და ფიუზელაჟზე თითქოს რუსული დროშა დაეხატოს. როგორც მან თქვა, „ეს პიროვნული შემთხვევა როდია, როცა რუსი სამხედროები ასეთ მოუქნელ განცხადებებს აკეთებენ“. მან აღნიშნა, რომ 1993 წლის თებერვალში (აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს) რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა განაცხადა, „ქართული მხარე თავის მოიერიშე თვითმფრინავებს ხელახლა ღებავს და სოხუმს ბომბავსო“. მაშინ გრაჩოვმა ეს განცხადება იმისათვის გაკეთა, რომ გაემართლებინა რუსი სამხედროების მოქმედება, რომლებიც ამ მოიერიშეებით ბომბავდნენ სოხუმის საცხოვრებელ უბნებს. მაგრამ მან ვერა და ვერ შეძლო „დაერწმუნებინა მსოფლიო საზოგადოებრიობა იმაში, რომ რუსეთი გარეული არ იყო ამ მოქმედებაში. ამის მიუხედავად, „თურმე გრაჩოვის ტრადიციები“ კვლავ ცოცხლობს. ვერაფერი ახალი ვერ მოიფიქრეს და ახლაც ზოგიერთი რუსი სამხედრო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით აერცელებს ამგვარ მითებს.

საქინფორმი.

МХАРШИ ДАГОМА

გერმანიის მთავრობა მიწისქვრის შედეგების ლიკვიდაციაში გვეხმარება

(პირველი გვერდიდან)

დახმარების ფარგლებში შემუშავებული პროექტების იდენტიფიცირება, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან თანამშრომლობით, სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყება. თანხები, ძირითადად, გამოიყენება სკოლების აღდგენისათვის. გარდა ამისა, დაუკმაყოფილა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა თავშესაფრებისა და ზოხუცებულთა სახლების აღდგენა.

ჰანსენშნეიდერ, რომ ეს თანხა, რომელიც განვითარების ხელრეშე თანამშრომლობის მიზნით გამოყოფილი სახსრების (2002-2003 წლებში გერმანიის მთავრობამ ამ თანამშრომლობის ფარგლებში უკვე გამოყო 31 მილიონი ევრო) დამატებით გამოიყო, დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საქინფორმი.

МСОФЛИО ГАМОБА

(პირველი გვერდიდან)

უფრო მეტიც, რუსეთი უკვე დიდი ხანია ცდილობს, წყალი შეუყენოს ბ-ნ შევარდნაძის პოზიციებს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც იგი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო მიხეილ გორბაჩოვის მთავრობაში. კრემლს ვერ უპატიებია მისთვის საბჭოთა იმპერიის დაშლა და ამერიკელთა მიპატიჟება პლანეტის იმ კუთხეში, რომელსაც ღღემდე მიინნევს თავის ნაკრძალად. და თუ ეს ინიციატივა შეერთებულ შტატებსა და რუსეთის შორის ურთიერთობის გაცივების წინამორბედია, დაე, იყოს ასე. მათი დაახლოება ყოველთვის უგულებელყოფდა დაქუცმაცებული შეხსელმწიფოს შეურაცხყოფილი სიამაყის რეალიას, მაშინ, როდესაც პრეზიდენტ პუტინის ეკონომიკური შეთანხმება ერაყთან და ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერა მხოლოდ წარმოაჩენენ, რაოდენ სცილდება ერომანეთის ორი ქვეყნის ინტერესები.

თეორი სახლის რეაქცია საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ავიათავდასხმებზე ვამოხაგავს შეშფოთებას, ჩრდილი არ მიადგეს მისი, როგორც აღმიანის უფლებათა მებრძოლის სახეს. მაგრამ ბაგონმა ბუშმა ეს არ უნდა იკმაროს, მან უნდა მოიფიხოვოს, რომ კრემლმა შეწყვიტოს თავისი ბინძური ომი. ჩეჩნეთის კამპანიას ტერორის წინააღმდეგ მიმდინარე ომის ნაწილად წარმოსახავენ. ფაქტობრივად, ეს უგუნური სისასტიკე, რომლითაც ეს ომი წარმოებს, მხოლოდ ხელს აძლევს ტერორისტებს.

„ნოიე ციურხერ ცაიტუნგი“ (შვეიცარია), 26 აგვისტო:

„საქართველოსა და მის მძლავრ ჩრდილოელ მეზობელს შორის ურთიერთობაში არსებული დაძაბულობა მთელი რიგი მიზეზებით არის განპირობებული. ერთი მათგანია სიტუაცია საქართველო-ჩეჩნეთის საზღვართან მდებარე პანკისის ხეობაში, რომელსაც, რორგორც მოსკოვში იცლიან, ჩეჩენი მოთარეშენი თავიანთი ბაზად იყენებენ. ამ საკითხს უკვე არაერთგზის გამოუწვევია სიტყვიერი შეხლა-შემოხლა თბილისსა და მოსკოვს შორის. დამოუკიდებელი წყაროები ასევე ადასტურებენ პანკისის ხეობაში ჩაიდინა წრესგადასული თვითნებობა, როდესაც დაბომბა სოფელი საქართველოს ჩრდილოეთში. ამით მან დაარღვია ქვეყნის სუვერენიტეტი, განაცხადეს ვაშინგტონში.

პანკისის ხეობაში, სადაც რუსების დევნას გამოქცეული ჩეჩნები (ქისტები) დასახლდნენ XVIII-XIX საუკუნეებში, დღეს თავშესაფარი პოვა 7500 ადამიანმა, უპირატესად ქალებმა და ბავშვებმა. მაგრამ მოის ხეობას, რომელიც ხელში აქვთ მოგდებული ჩეჩნებს და პრაქტიკულად შეუვალია ხელისუფალთათვის, თავის ზურგის ბაზად მიიჩნევს, აგრეთვე, დაახლოებით 800-2000 მოთარეშე (...).

რუსეთი დიდი ხანია მოითხოვს, რომ საქართველომ დაკავოს გილავეთის მოთარეშეთა რაზმი. საქართველოს ხელმძღვანელობის ზოგნაწილა, რომელიც სიამოვნებით იყენებს ჩეჩნებს სეპარატისტული აფხაზეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, აიძულა მოსკოვი, ხმამაღლა ალაპარაკებულიყო რუსეთის ჯარების შეჭრის საჭიროების შესახებ (...).

პუტინს, რომელიც ცდილობს, იქონიოს კეთილი ურთიერთობა საქართველოს მეგობარ შეერთებულ შტატებთან, ასევე არ სურს სიტუაციის გამწვავება კავკასიაში. მაინდა, ეს ომმაკავს პანკისის ხეობას? უდავოდ ანგარიშგასაწევია ის ექვები, რომ რეს სამხედროებს, რომლებსაც წარმატებამდე ბევრი უკლიათ, სურთ, მთელი ყურადღება გადაიტანონ სათმარი მოქმედების მეორე თეატრზე“.

„ეაინენენნლ ტაიმსი“ (დიდი ბრიტანეთი), 27 აგვისტო.

„პანკისის ხეობის დაბომბვის ინციდენტის შედეგად რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობას დაუდგა ერთ-ერთი უმძიმესი მომენტი სსრ კავშირის დაშლის დროიდან. გუშინ საქართველოს პარლამენტი გამოვიდა მოწოდებით, დაგოვონ **ღსმ** გაერთიანება, სადაც გაბატონებული პოზიცია უკავია რუსეთს. ამ მოვლენებმა დაძაბულობა შეიტანეს, აგრეთვე, რუსეთის ურთიერთობაში შეერთებულ შტატებთან, საქართველოს მოკავშირესთან.

(...) სავარაუდო დაბომბვის სამიზნე იყო პანკისის ხეობის მიმდებარე რაიონი. რუსეთს აქამდეც არაერთგზის დაბრალებია საქართველოსთვის, რომ იგი ჩეჩენ მეამბოხეებს ანებებს, თავი შეაფარონ რუსეთის საზღვრის მახლობლად. რუსეთის მხარის აზრით, საქართველომ უნდა გააძლიეროს კონტროლი საზღვარზე, ან ნება დართოს რუსეთის ჯარებს, შეეიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი კოლეგების დასახმარებლად.

საქართველო აღიარებს, რომ პანკისის ხეობაში თავშესაფარი პოვა ზოგიერთმა „დანაშაულებრივმა ჯგუფებმ“. კვირას თბილისმა ხეობაში შეიყვანა თავისი ჯარები დანაშაულებრივი ელემენტებისაგან გასაწმენდად. მაგრამ ივანოვი თვლის, რომ ბანდფორმირებათა მოთავეები უბრალოდ კი არ უნდა გააძევონ რუსეთში, არამედ უნდა შეიპყრონ, განაიარაღონ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიბრუნონ რუსეთში“.

„უოლ-სტრიტ ჯორნელი“ (აშშ), 27 აგვისტო.

„საქართველოს მოაერობის ჯარები ხელცარიელნი დაბრუნდნენ მას შემდეგ. რაც ორშაბათს ფრთხილად გაიარეს მეამბოხე პანკისის ხეობა შეზობელი ჩეჩნეთიდან შემოსული მოთარეშეების საძებნელად. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ სახმ ჯარები ჩრეკა-დაპატიმრების ოპერაციას შეუდგებოდნენ. მოთარეშეების წინადადება მიეცით, დაეტოვებინათ არე-მარე.

„ინფორმ ეფრემ“

გაქცეული მეხუთე საპყრობილეში შეასახლეს

სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის რუსთავის მეორე დაწესებულებიდან ხუთშაბათს გამთენიისას გაქცეული

უცხოეთის პრესა პანკისის შესახებ

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ (აშშ), 27 აგვისტო:

„ეს ომი, ალბათ, ბუშს ეგონა, ადვილად მოგებული ომი იქნებოდა. ეს

საქართველოს რესპუბლიკა
№ 209. პარასკევი, 30 აგვისტო, 2002 წელი.

უახლესი ისტორია

საქართველოს კონსტიტუცია — ტერაქტების სამიზნე

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო ბაკურ, ჩვეულებრივ, აგვისტო პოლიტიკისთვის მკვდარი სეზონია, საქართველოში, პირიქით, — კატაკლიზმების პერიოდია. იმ აგვისტომაც დაამტკიცა ეს. მაშინ თქვენ მოვლენათა შუაგულში აღმოჩნდით, იქნებ, გაიხსენოთ ზოგი რამ თქვენი იმდროინდელი მოღვაწეობიდან და დღევანდელი გადასახედიდან შეაფასოთ დამოუკიდებელი საქართველოს უახლესი ისტორიის ეს ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდი?

— დღევანდელი გადასახედიდან? მაშინ ჯერ მე დაგისვამთ შეკითხვას: წელს როგორ აღინიშნა კონსტიტუციის დღე?

— ვერაფერს გეტყვით...

— ასეთ დამოკიდებულებას მტკივნეულად განვიცდი: დღევანდელმა სირთულეებმა ხომ არ გადაფარა მეოცე საუკუნის ქართული პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა — დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციის მიღება? 24 აგვისტო ოფიციალურად არის გამოცხადებული კონსტიტუციის დღედ და მას ღირსეულად აღნიშნა ეკუთვნის. არ მესმის, პრესას და ტელევიზიას მაინც რამ შეუშალა ხელი.

— ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ 23 აგვისტოს მომდევნო დღეებში საქართველო ომის პირზე იყო.

— გეთანხმებით, რომ ამ შემთხვევამი სწორედ ასეა. მაგრამ მე საერთო დამოკიდებულება მაქვს მხედველობაში. თუნდაც, ერთ-ერთი ტელეარხის მიერ ამ მოვლენის რიგით ფაქტად წარმოჩენა, მაშინ, როცა იმავე დღეს გაცილებით დიდი დრო დაუთმეს ერთი შემთხვევითი პოლიტიკოსის გამოქმედებას, უსაფუძვლო და ყოველად გაუგებარ დისკუსიას.

ამას ნაწყვნი კაცის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ. მე მაწუხებს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ბოლო დროს დასახული ტენდენციები — უმთავრესისა და უმნიშვნელოვანესის მეორე პლანზე გადაგანა და ის, რომ ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი პროვინციულ-ქუჩური პოლემიკით ერთობა.

კონსტიტუციის დღის აღნიშნა იმიტომ კი არ არის საჭირო, რომ ერთმანეთს შევახსენოთ — კონსტიტუციური ქვეყანა ვართ. არამედ იმიტომ, რომ კვლავ და კვლავ ხაზი გავუსვათ: კონსტიტუციაში მოცემული ნორმები ის საფუძველია საფუძველია, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს ჩვენი

საქართველოს რესპუბლიკა
№ 209, პარასკევი, 30 აგვისტო, 2002 წელი.

- **არაბული სამყარო სადამს სრულდაჭრიან.**
- **„შავ ოქროს“ ცეცხლის ფასი ედება.**
- **შავი ჭირი – „ღობეს ჩხირი“?!**
- **ჩრდილოეთ კორეა რაკეტებს ყიდის.**

ბუში საუდის არაბეთს ირიგებს

ამშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კონსულტაციებს მართავს საუდის არაბეთის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებთან, რათა როგორმე გაუმჯობესოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციისა და ერაყის საკითხის გადაწყვეტისადმი ორი ქვეყნის განსხვავებული მიდგომების ფონზე.

საუდის არაბეთის ელჩი პრინცი ბანდარ ბინ სულთანი ამშ პრეზიდენტმა თავის რანჩოში დაპატიჟა. ჯორჯ ბუში, ჩვეულებრივ, ასეთ დონეზე მხოლოდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს მასპინძლობს ხოლმე.

აქამდე საუდის ეს-პი-ეი საინფორმაციო სააგენტო იუწყებოდა, რომ ამშ პრეზიდენტმა რამდენჯერმე დაურეკა ტელეფონით ტახტის მემკვიდრე უფლისწულს აბდულას და პირადად აღუთქვა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

ამასობაში კი, სულ უფრო ძლიერდება არაბული სახელმწიფოების ოპოზიცია ერაყზე შესაძლო დარტყმის საკითხის გამო. კერძოდ, ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა გააფრთხილა ამშ პრეზიდენტი მოსალოდნელი „ძალადობის ტალღის აგორების“ თაობაზე, თუ იქამდე არაფერი არ გაკეთდა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის გადასაწყვეტად.

ამავე დროს, ბუშის ადმინისტრაცია ცდილობს, საუდის არაბეთის ელჩი გაასაღლოს ჯორჯ ბუშის პირად მეგობრად, ისეთ კაცად, რომელსაც პრეზიდენტი სიამოვნებით ხედება ხოლმე.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ალი ფლეიშერმა განაცხადა: „პრეზიდენტს მოსწონს პრინც ბანდართან ურთიერთობა. უფლისწული უაღრესად თავაზიანია, აქვს შესანიშნავი იუმორის გრძნობა, თანაც, ინგლისურს გაცილებით უფრო უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე ბევრი ამერიკელი“.

აქამდე თეთრ სახლს არაერთგზის უარუყვია მტკიცებები, რომ საუდის არაბეთი ხელს აფარებს ისლამურ ექსტრემისტებს.

ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში გასული წლის 11 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმების 19 მონაწილეთაგან 15-ნი საუდიელები იყვნენ. აეროპლანებში დაგყვევებულ მოთარეშეთა მესამედს ასევე საუდური წარმოშობა აქვთ.

მაგრამ ბი-ბი-სის ვაშინგტონელი კორესპონდენტის აზრით, ორმხრივ ურთიერთობაში ნამდვილი შებრკოლების ღოდი ერაყთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტის საკითხი.

* * *

ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა განაცხადა, რომ არაბული სახელმწიფოების მოსახლეობა „შეიძლება, გულისწყრომით გამოეხმაუროს ერაყზე სამხედრო დარტყმის მიყენებას“, თუ იქამდე არ გამოიძებნა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის რაიმე მშვიდობიანი გადაწყვეტა“.

„თუ იქვეს ერაყს დაარტყამთ, არაბული სამყაროს ვერც ერთი ლიდერი ვერ მოთოკავს ხალხთა მასების მრისხანებას“, – ხაზი გაუსვა მუბარაქმა.

ეგვიპტის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არც ერთი არაბული ქვეყანა, მათ შორის, ქუვეითი, არ დაუჭერს მხარს ერაყზე დარტყმების მიყენებას. მუბარაქმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მთელი რეგიონი ქაოსში აღმოჩნდება.

იქამდე კატარმა – სპარსეთის ყურის რაიონის სახელმწიფომ, საჯაროდ განაცხადა, რომ არ მისცემს შეერთებულ შტატებს თავის სამხედრო ბაზებს ერაყის წინააღმდეგ საომარი ოპერაციის მოსაწყობად. კატარამდე ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს საუდის არაბეთმა და ბაჰრეინმა.

ერაყის ლიდერმა სადამ ჰუსეინმა, ბაღდადში კატარის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ამერიკა საფრთხეს უქადის არა მარტო ერაყს, არამედ, აგრეთვე, მთელ არაბულ სამყაროს.

ნავთობი ძვირდება

ლონდონში ნავთობის ფასმა მკვეთრად მოიმატა. 90 ცენტით გაძვირდა ბრენტ მარკის ნავთობის ფასი, რომელმაც თითქმის 28 დოლარს მიაღწია ბარელში (ბარელი – 159 ლიტრი).

ანალიტიკოსთა თქმით, ფრდა ნაწილობრივ აიხსნება ამერიკის ბოლოდროინდელი განცხადებით ერაყის წინააღმდეგ სამხრეთ მოქმედების შესახებ და მოსალოდნელი გართულებებით ნავთობის მიწოდებაში, თუ რეგიონში კონფლიქტი რეალობა გახდება.

ნავთობის ფასი მჭიდროდ მიუახლოვდა ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვან ზღვარს – 30 დოლარს ბარელში ნიუ-იორკის ბირჟაზეც.

ნავთობის გაძვირება აგვერ უკვე ორი თვეა გრძელდება. ანალიტიკოსები ამას იმით ხსნიან, რომ ბაზარი ნერვიულობს შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტის გამო.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ფასების ფრდას განაპირობებს ორი ფაქტორი.

ამშ-ერაყის ომის საფრთხის გარდა, მეორე დიდმნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ ბაზარი ემზადება ნავთობის წარმოების მოცულობის შესაძლო ფრდისათვის. ასეთი დადგენილება შეიძლება. მიიღოს OPEC-ის გაერთიანებამ მორიგ შეხვედრაზე, რომელიც 19 სექტემბერს არის დანიშნული.

არამი ლუკმა

(პირველი გვერდიდან)

უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოამჟღავნებულია 180-მდე ამგვარი დანაშაულებრივი ფაქტი, რომელთა მიხედვით 14 ათასამდე მოგონილ პირს არაკანონიერად ჰქონდა მინიჭებული აფხაზეთიდან დევნილის სტატუსი. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემულია 200-მდე კაცი, მათ შორის – 70-მდე თანამდებობის პირი.

2000-2001 წლებსა და მიმდინარე წლის 6 თვეში დევნილებზე გამოყოფილი თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ფაქტებზე აღიძრა 112 სისხლის სამართლის საქმე. აქედან სასამართლოებში საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა 80, შეწყდა 8, შეჩერდა ერთი (დანამაულში ეჭვმიტანილი პირის ძებნის მოტივით), გამოძიება გრძელდება 23 საქმეზე. სასამართლოებში წარმართულ არც ერთ საქმეზე არ დადგენილა გამამართლებელი განაჩენი, ლმობიერების მოტივით გახანგრძლივა მხოლოდ ერთი და ისიც არ დაკმაყოფილდა.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირეობა და გამოძიების ორგანოების მიერ 2000-2001 წლებსა და მიმდინარე წლის 6 თვეში დევნილებზე გამოყოფილი თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ფაქტებზე აღიძრა და გამოძიებულია მთლიანად ქვეყანაში აღძრულ ამ კატეგორიის საქმეთა 81.2 პროცენტი.

სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი უჩვენებს, რომ დევნილებისათვის გამოყოფილი თანხების დაგავების ორგანიზატორები არიან ფეთი სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც მინდობილი აქვთ დევნილებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ფულადი თანხების მიღება, შენახვა და განკარგვა, შემწეობების დასანიშნად აუცილებელი ცნობებისა და იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა დოკუმენტების გაცემა. ასეთი თანამდებობებზე ხშირად ინიშნებიან შეკმოწმებელი და შემოხვევითი პირები, რომლებიც თავად ქმნიან დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს და აგავებენ დევნილებისათვის გამოყოფილ სახელმწიფო თანხებს.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ალგილობრივი სამსახურებში ელემენტარული წესრიგი არ არის დაცული. ფაქტობრივი მხოლოდ ერთი და ისიც არ დაკმაყოფილდა.

ეროვნული ბანკის, შპს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ და სხვა ორგანოების უკონტროლობის შედეგად, ფულადი ნაკადების ბოლოდროინდელი ზრდა ინფლაციის ფონზე, ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის ფლუქტუაციებმა, ფულადი ნაკადების ადგილობრივ ბაზარზე ინფლაციურ ზეგავლენა მოახდინა. ეროვნული ბანკის, შპს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ და სხვა ორგანოების უკონტროლობის შედეგად, ფულადი ნაკადების ბოლოდროინდელ ზრდა ინფლაციურ ზეგავლენა მოახდინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №54 | 30 აგვისტო, 2002 წელი.

სამკალი

და კარგული ეზიანი დღეები და ზარალებული მიწათმოქმედი

დედოფლისწყაროში მოსავალი აუღებელი დარჩა 9000 ჰექტარზე



ქვეყანაში სულ თავთავიანი კულტურები ასაღები იყო 169.000 ჰექტარზე. 29 აგვიტოს მონაცემებით აღებულია მხოლოდ 130.000 ჰექტარზე. მიღებულია 208.500 ტონა. საშუალოდ ჰექტარზე 1,6 ტონა.

აქედან ხორბალი აღებულია 105.000 ჰექტარზე. სულ მიღებულია 177.000 ტონა ხორბალი.

ჯერ გვალვებმა, შემდეგ კი ხშირმა და გაღაუღებელმა წვიმებმა არახელსაყრელი პირობები შეუქმნეს წლეულს ჩვენს გამრჯე მხვნელ-მთესველთ. ნათესებში სარეველა ბალახების აღმოცენებამ შეაფერხა მოსავლის აღება, ზოგან კი მეტისმეტად გაჭიანურდა, და საქმეს ისეთი პირი უჩანს, შეიძლება, აუღებელიც კი დარჩეს ნაწილი. მაგალითად, დედოფლისწყაროში, აქაურებს მართალია, შრომა და გარჯა არ დაუკლიათ ნათესებისთვის, ამიტომ იმედით შეჰყურებდნენ ოქროსფრად მოლივლივე ყანებს, მაგრამ დღეისათვის მაინც აუღებელია 9 ათას ჰექტარზე, მაშინ როცა, კახეთში უკვე დამთავრდა ალოობა. ეს არცთუ ისე უმნიშვნელო ციფრია, რომ არაფრად ჩავაგდოთ. რა ექნა გლეხს, რომელმაც იწვალა, იშრომა და მოსავალი მაინც ვერ აიღო. ვინ არის დამნაშავე? რა თქმა უნდა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლებმაც გლეხი მარტო დატოვეს ასეთი მნიშვნელოვანი პროცესის წინ, რასაც მოსავლის აღება ჰქვია. განა მათ ჩვენგან ესწავლებათ, რომ მოსავლის აღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, თუ გნებავთ, პოლიტიკის რანგში აყვანილი საკითხთაგანია, და მას მეტი ყურადღება ესაჭიროებოდა. თავის დროზე რომ დახმარებოდნენ გლეხებს და მზიან დღეებში საჭირო რაოდენობის კომბაინი გამოეყვანათ მოსავლის ასაღებად, დღეს აუღებელი ფართობი არ დარჩებოდათ, რაც დიდად საზიანოა ყველასათვის.

მალე დამთავდება მოსავლის აღება ქართლში – გორსა და ქარელში. მცირე რაოდენობით არის დარჩენილი და მიმდინარეობს მკა მთიან რეგიონებში, წალკაში, დმანისსა და სამცხე-ჯავახეთში.

ნაზი იმნაიშვილი.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი!



ილია ჭავჭავაძე.

სოფელი

არცთუ ზღაპრული დასაწყისი

1999 წლის დეკემბერი იდგა, როცა **დათო კოჭლამაზაშვილი** მარნეულის რაიონის სოფელ გიულბაღში ჩავიდა. საქართველოს საპატრიარქოს გიულბაღის მეურნეობის ახლადდანიშნულ დირექტორს სალაროში ერთი ლარი და ოცდაათ ჰექტრამდე ხორბლის ნათესი დახვდა. უშუქობისაგან გამოღამებულ სოფელში სიცოცხლე ჩამკვდარიყო, სახლებში შეკეტილი მოსახლეობა გამოზამთრებას მოთმინებით ელოდა, თუმცა, იმედიანი არც გაზაფხული ჩანდა...

მეურნეობაში მისვლისთანავე დათო კოჭლამაზაშვილმა მუშაობა ვალის დაფარვით დაიწყო. საუღალტრო ჩანაწერებით მეურნეობის ვალის გარკვევის შემდეგ, სათითაოდ დაიბარა თითოეული მუშა-მოსამსახურე, გაესაუბრა, ვის რამდენი ერგებოდა, დაადგინა და ეს ვალი თავისი მეგობრებისაგან ნისიად აღებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით გასცა. ასე რომ არ მოქცეულიყო, უხელფასობით დაშინებული გლეხობა სამუშაოდ აღარ გამოვიდოდა და მეურნეობის დაშლის საფრთხეც რეალური გახდებოდა.

...ჭკვა ცოდნით მოიხმარების

გიულბაღის მეურნეობას 547 ჰექტარი მიწის ფართობი უკავია, საიდანაც 200 – სახნავია. 1998 წელს მოსახლეობას დროებით სარგებლობაში 68 ჰექტარი გადაეცა. დირექტორმა აუთვისებელი ერთი გოჯიც კი არ დატოვა, გარდა იმ 6 ჰექტარი ეროზირებული ნიადაგისა, რომელიც სტრუქტურის აღდგენისა და განოყიერების მიზნით შეგნებულად არ დაამუშავებინა. მოგვიანებით შერია და ქერი მიწის ამ ნაკვეთზეც დათესა. დათო კოჭლამაზაშვილს გამოცდილებამ უჩვენა, რომ უმჯობესი ხორბლისა და შერიის კულტურის მოყვანაა, სიმინდის მოსავალი ამინდის მკვეთრი ცვალებადობისა და ძლიერი გვალვის გამო (რომლის მსგავსი სოფლის უხუცესებსაც არ ახსოვთ) სავარაუდოზე ბევრად ნაკლები მიიღეს, რომელიც არც დასათესად გამოდგა.

დირექტორის მონათხრობიდან:

– 2001 წლის მარტში საქართველოს საპატრიარქოს აგროსამრეწველო დეპარტამენტის თავმჯდომარედ არქიმანდრიტი მიქაელ გეგარამაძე დაინიშნა. რომელმაც თავის მოადგილესთან, მამა თეოდორაძესთან ერთად გიულბაღის მეურნეობა მოინახულა. არსებულ სიტუაციას რომ გაეცნო, მამა მიქაელმა მამა-შვილურად დაგვმოძღვრა, მოთმინებისკენ მოგვიწოდა, მატერიალური დახმარებაც გაგვიწია (მისი მხარდაჭერა რომ არა, პირდაპირ ვიტყვი, გიულბაღში არც დავრჩებოდი). მიუხედავად იმისა, რომ არქიმანდრიტს, ჩვენი მეურნეობის გარდა, სამთავროს დედაა და შიომღვიმის მამაა მონასტრების წინამძღვრობაც აბარია, გიულბაღს ყურადღებას დღემდე არ აკლებს.

წლეულ-ახლელი მოსავალ-ცვალებადი ამინდების მიჯ ხედავად, შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

იხ. მე-6 გვ.

სიკეთე

დიდი მადლობა მათ...

„მადლი ჰქენი, ქვას დადევი, გაივლი და წინ დაგხვდება“

რამდენიმე ხნის წინათ, ჩვეული ძალით შემომიგია გულმკერდისა და წელის არეში ტკივილებმა. სხვა გამოსავალი აღარ იყო, გადავწყვიტე სამკურნალოდ თბილისში წამოვსულიყავი.

– სად მიხიდარ, კაცო, – თითქმის წინ გადამეღობა ცოლიც და მეზობლებიც – უპატრონოსა და უფულოს ვინ მოგხედავსო. მე მათ ჩემი 40 წლის მუშაობისათვის დამსახურებული უკანასკნელი „ჯილდო“ – პოლისი ავუფრიალე თვალწინ და ქალაქს მოვაშურე. ასე მოვხვედი სამკურნალოდ რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეფროლოგიურ განყოფილებაში (გამგე ქეთევან ანჯაფარიძე), ძალზე მიჭირს სიტყვიერად გამოვხატო ყველა ის სიკეთე, რასაც აქ, ამ განყოფილების პატარა კოლექტივი, თავისი პაციენტებისათვის აკეთებს: ავადმყოფებისათვის ეს მართლაც საოცრად გულთბილი დამოკიდებულება, ალბათ, იმითაცაა განპირობებული, რომ ამ კოლექტივში სულ მანდილოსნები მუშაობენ. მიჭირს, ვინმე განსაკუთრებულად გამოვყო.

ყველა მათგანი შესაშური გულისხმიერებით იბრძვის პაციენტის გამოჯანმრთელებისათვის. ექიმის მოვალეობა აბა სხვა რა არისო, იტყვის ზოგიერთი, მაგრამ ვაი, რომ ყველგან ასე როდია და თანაც ისე თვალშისაცემადაა ეს ყველაფერი რომ დამალვაც არ ხერხდება. აქ კი გამოგიკვლევენ, საჭირო წამლებსაც მოგცემენ და გულთბილი და იმედის მომცემი სიტყვებით გამოგისტუმრებენ, რაც ყველაზე მეტადაა საჭირო ავადმყოფისათვის. კეთილი სიტყვა წამლებზე ნაკლებად როდი კურნავს ადამიანებს. ვუსურვებ მათ, რომ ძალიან, ძალიან დიდხანს გაპ ყოლოდეთ ავადმყოფებისადმი ეს უსაზღვრო გულისხმიერება, რაც დავრდომილთათვის ყველაზე დიდი ნუგეშია ჩვენს დღევანდელ ყოფაში.

ზურაბ სხირტლაძე.
ადიგენი, სოფ. ზემო ენთელი.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სოფელი

(მეხუთე გვერდიდან)

აქაური მსხვილი არენდატორების მიერ მიღებული მოსაელის რაოდენობას და ხარისხს თუ გავითვალისწინებთ, მათთან შედარებით, ნამდვილი „ჩემპიონები“ ვართ. ბევრ არენდატორს ქერის ასაღებად მინდორში კომბაინი არც კი შეუშვია, ხელით გათიბეს, რათა ზამთრისთვის ცოტაოდენი ნამჯა მაინც დაემზადებინათ, ხოლო ვინც კომბაინით აღება ვარისკა, საშუალო საჰექტარო მოსაელიანობამ, 300-400 კილოგრამს ვერ გადააჭარბა. ჩვენ კი 33 ჰექტარიდან 31 ტონა ქერი მივიღეთ...

ხორბლის მოსაელიანობასა და ხარისხს რაც შეეხება, არა მარტო ჩვენს რაიონში, მთელ მაღალმთიან ზონაშიც პირველები ვართ. თავად განსაჯეთ, ერთ-ერთმა მომიჯნავე არენდატორმა 10 ჰექტარიდან მხოლოდ 800 კგ და ისიც გუდაფშუტით დაავადებული ხორბალი მიიღო. შედარებით იღბლიანებმა ჰექტარზე საშუალოდ 500 კგ, მაგრამ სათესლედ უვარგისი ხორბალი მოიწიეს. ჩვენ კი ჰექტარზე დაახლოებით 20 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ხორბლის მოსავალი მივიღეთ, რაც მთიანი ზონისთვის (საბჭოთა წყობილების დროიდან) საჰექტარო მოსაელიანობის მაქსიმუმად ითვლება.

გიულბაღში შვრიის მოსავალიც კარგი მივიღეთ საშუალო საჰექტარო მოსაელიანობამ 10-12 ცენტნერს მიაღწია. ამის თქმის საუუძველს მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსის, მაღალკვალიფიციური კომბაინერის **არარატ ბაღდასარიანის** გამოცდილებაც გვაძლევს. ძლიერი ქარიშხლისა და წვიმების შედეგად დაწოლილი შვრიის მოსავლის აღებაც ხომ მისი პრეროგატივაა. აქვე დავძენ, რომ ამ ზონისათვის შვრიის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის მაქსიმუმი 10-15 ცენტნერს არ აღემატება.

მიწის დამუშავებასა და მოსაელის დროულ აღებას გამართული ტექნიკა სჭირდება – ეს უდავოა. სამუშაოდ რომ ჩამოვედი, გიულბაღის მეურნეობას მწყობრში მხოლოდ ერთი „ბელორუსი“ და „ტ-16“ მარკის ტრაქტორი ჰქონდა, საქართველოს საპატრიარქოს აგროსამრეწველო დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით 1999 წელს ჩატარებული სრული ინვენტარიზაციის შედეგად 13 ერთეული სხვადასხვა დასახელების ტექნიკა ჩამოიწერა, რომელიც ავტო-სატრაქტორო პარკის ტერიტორიაზეა და დღემდე ხელუხლებულია. 47 ერთეული სხვადასხვა დასახელების ტექნიკიდან 32, ანუ რაც მეურნეობისთვისაა საჭირო, მწყობრშია. მეზობელი სომხები დაგვეხმარნენ და თითქმის პირველივე დღიდან დავიწყეთ სარემონტო ტექნიკის აღდგენა, მათ მიერ საჩუქრად გამოგზავნილი 4 კუბმეტრი წიფლის მასალით კი მეღორეობის ფერმა შევაკეთეთ.

პრაქტიკოსი მეცნიერის ბიოგრაფიიდან

დათო კოჭლამაზაშვილმა, პროფესიით ზოოინჟინერმა, თავისი შრომითი აღმასალა ეგრეთწოდებულ 31-ე ქარხნის დამხმარე მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირობით დაიწყო. პრაქტიკულმა საქმიანობამ სამეცნიერო კვლევისკენ უბიძგა და მალე მუშაობა საქართველოს კომბინირებული საკვები მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-მუშაკად დაიწყო. მეცხოველეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ საკანდიდატო დისერტაცია მეცხოველეობაში დაიცვა. დათო კოჭლამაზაშვილი 92 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. 1984 წელს ახალგაზრდა მეცნიერი საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსპექტორად დაინიშნა, სადაც ამ სამსახურის გაუქმებამდე მუშაობდა.

გაუთვალისწინებელმა გარემოებამ პროფილი დროებით შეაცვლევინა და დათო კოჭლამაზაშვილი 1997 წელს მარნეულის რაიონის საგზაო-საგადასახადო სამსახურის უფროსად დაინიშნა. საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებითა და ერთგული თანამშრომლობით სახელი აქაც გაითქვა და მისი პიროვნებით ამჯერად საქართველოს საპატრიარქო დაინტერესდა...

კითხვანაგულისხმები პასუხები

დღეს სიტყვას რომ კაცი ენდობა, ან გიჟი უნდა იყოს, ან გამოუცდელი. მგონი არც ერთი ვარ და არც

არცთუ ზღაპრული დასაწყისი

შეორე. რა ვქნა, ასე მასწავლეს და დღემდე ასე მჯერა. ცხონებული ბიძაჩემი, რომელიც დღემდე კაცობის ეტალონად მიმაჩნია, მარიგებდა, მიცემული სიტყვის ნიშნად კაცს ხელს რომ ჩამოართმევ, ის სიტყვა საქმედ უნდა იქცესო. აქამდე ასე ვიცხოვრე. გაგიკვირდებათ და მიმართლებს კიდეც... პირის შეშლას მწყობრიდან გამოვყავარ. აი, მაშინ კი ვაჩენ ხოლმე ჩემს ქიზიყელობას...

პირველ ხანებში გაქცევაზე ვიყავი. ტოტზე შემომჯდარი ჩიტივით ხელის აქნევაღა მაკლდა, მაგრამ რომ დაეინახე, როგორი იმედის თვალით მიცქეროდა აქაური ხალხი, ვერც ისინი გავწირე და ვერც დაწყებული საქმე მივატოვე. ახლა, რომ დავრჩი, არ ვნანობ. პირიქით. უთენიიდან გვიან-ღამემდე შრომაში დრო როგორ გადის, ვერც ვიგებ. ხშირად ის დრო მენანება, ძილში რომ ვკარგავ.

გიულბაღში ძირითადად სომხური მოსახლეობაა. სოფელი ცოფი კი მრავალეროვანია. ორივე სოფლის ხალხთან სასაუბროდ რუსულს ვიშველიებ. შემდეგ ცოტა სომხურიც ვისწავლე, ორიოდე სიტყვის თქმას აზერბაიჯანულადაც ვახერხებ. აქაურებს მეც ვასწავლე ცოტ-ცოტა ქართული. მიხარია, სხვა ეროვნების კაცისგან რომ მესმის ჩემი საყვარელი სიტყვა – „გენაცვალე“.

გაწბილებულიც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ არც ისე მომხდარა, ერთის ღალატის გამო, მეორეს არ ვნდობოდი.

ერთხელ, ისეთი რამ შემემთხვა, საკუთარ თავს ახლაც ვერ ვპატიობ. რთველი ახლოვდებოდა. ვენახის დასახედად გავედი. ვხედავ, ვიღაც მისდგომია და კრეფს. ქურდს ვედრო ავსებული ჰქონდა, თავზე რომ დავადექი. ძალიან გავბრაზდი, ყურძენი დავაყრევინე და გავაგდე. მალე დავადგინე იმ კაცის ვინაობა (მეზობელი სოფლიდან ყოფილა), ცოლი ჰყოლია საავადმყოფოში და ყურძენიც მისთვის უნდოდა. ვიფიქრე, აბა, მაგას რისი საშუალება ექნება, ხილიც რომ ვერ უყიდია ავადმყოფისთვის-მეთქი. ვედრო ყურძენი ხო დავუბრუნე, ორი მოხარშული დედალიც ზედ მივაყოლე...

რა კაცია ეს დათო კოჭლამაზაშვილი

ნორიკ ბაღდასარიანი, პენსიონერი, სოფლის ავტორიტეტად წოდებული: **დღეს, რომ სოფლის მოსახლეობის 70-80 პროცენტს პური აქვს, დათოს დამსახურებაა. მან ხალხი დაასაქმა და ფულიც ამოვნინა. ახლა საკუთარი სახსრებით შეშისა თუ ოჯახისთვის საჭირო ნივთის შეძენაც შეგვიძლია...**

მარგო მისკარიანი, სამი შვილის დედა: **ჩემი შვილები ელადიკავკაზში ცხოვრობენ. დათო მათ მაგივრობას გვიწევს. იმდენი რამ აქვს ჩემი ოჯახისთვის გაკეთებული, რომ ზოგჯერ კიდეც გვეუხერხულება. თხოვნა არ უნდა, თვითონ ხედება, რაც გვიჭირს. ერთი-ორი დღით მიდის ხოლმე თბილისში და ჩემი ქმარი აღგილს ვერ პოულობს – სად დაიკარგა ის ბიჭიო... ეგ რომ აქედან წავიდეს, ალბათ, დავიხოცებით...**

სარქის არჩიანი, მეველე: **სოფელში ასამდე კომლი ცხოვრობს. სხვებივით მეც უმუშევარი ვიყავი და ძალიან გვიჭირდა. რაც დათო ჩამოვიდა, სული მოვითქვით. უყურადღებოდ არავის ტოვებს... 13-ჰექტარიან სიმინდის ნაკვეთში წილი თითქმის ყველას მოგვცა... გვეყოფა და მეტიც...**

ქამანდარ ხუდიევი, გლეხი: **ერთი ქოხი მედგა. უკეთესი არც სხვას ჰქონდა. რაც დათო ჩამოვიდა, ჩვენი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვალა. ამას წინათ წავიყვანე და ჩემი ორსართულიანი სახლი ვაჩვენე. თან ვუთხარი, შენი აშენებულია-მეთქი. არადა, მთელმა სოფელმა იცის, თვითონ მისი ოჯახი თბილისში ნაქირავებ ბინაში რომ ცხოვრობს...**

ანიკო ხუციშვილი, 6 შვილის დედა: **ბორჯომიდან აქ გამოვთხოვდი. სომხების რძალი ვარ. დათოს საკუთარი შვილებისგან ვერ ვარჩევ, ისე მიყვარს. ეგ რომ არა, გაჭირვებიდან ვერ ამოვიდოდით. ახლა არც პური გვაკლია და არც ხორცი გვენაგრება...**

* * *

გახარებული მკა იყო, გიულბაღს როცა ვეწვიეთ. გრძელი დიალოგებისთვის ვის ეცალა, ამიგომ დირექტორმა მინდვრებში დაწყებული საქმიანი საუბრის გაგრძელება ქართულ ტრადიციულ სუფრასთან არჩია... ერთს კი ვიტყვი, ასეთი მასპინძლობა მხოლოდ წარმომობით ქიზიყელსა და ვერაზე გაზრდილ კაცს თუ შეეძლო.

სულიკო ედიშერაშვილი,
მარნეული, გაზეთ „მარნეულის“ კორ.

გამოხმაურება

ბორჯომის ხეობაში ნაძვები ზეზეურად ხმებიან

„დედოფალის“ წინა ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენტ ლელა მანავლიშვილის სტატიას... „ექესკბილა“ თუ „მბეჭდავი ქერქიჭამია“ გამოეხმაურა საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი შავლიაშვილი, რომელმაც გვაცნობა:

– სტატიაში მართლაც ფრიადმნიშვნელოვანი საკითხია დასმული, რომელიც ეხება უკანასკნელ პერიოდში ბორჯომის ხეობაში მბეჭდავი ქერქიჭამიას შემოსევას, რასაც ნაძვის ხეების ხმობა მოსდევს.

მბეჭდავი ქერქიჭამია გავრცელებულია როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, აღმოსავლეთში კი – ჩინეთსა და იაპონიაში.

საქართველოში იგი პირველად შეამჩნია ბაღდათის სატყეო მეურნეობის წითელი მინდვრის სამცველოში 1952 წელს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების გამგემ შ. სუპატაშვილმა. საქართველოში ნაძვის დიდი ღაფნიჭამიას გავრცელებამდე მავნებელი დეპრესიულ მდგომარეობაში იყო. 1960-1965 წლებიდან კი მან დიდ ღაფნიჭამიასთან ერთად მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ნაძვნარებს.

ნაძვის დიდი დაფნიჭამიას წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ორივე მავნებლის რიცხოვნობა. 1998 წლამდე მბეჭდავი ქერქიჭამიის რიცხობრივობა ბორჯომის ხეობაში სანიგარიული ნორმების ფარგლებში იყო და 1 ჰა-ზე დაზიანებულ ხეთა რაოდენობა 3 პროცენტს არ აღემატებოდა.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში 1996 წლიდან მბეჭდავი ქერქიჭამიის შესწავლასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დამუშავებაზე მუშაობდა ასპირანტი ნ. ლომაძე (ამჟამად უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი), რომელმაც წლეულს, იანვარში, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, სწორედ მისი დამსახურებაა მბეჭდავი ქერქიჭამიის მოქმედი კერების გამოვლენა ბორჯომის ხეობაში და რიცხოვნობის დინამიკის დადგენა.

შარშან შევამჩნიეთ მავნებლის რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა ბორჯომის ხეობაში, რაც გამოწვეული იყო წინა წლების ძლიერი გვალვებითა და ნაძვის მიკროეკოლოგიური პირობების დარღვევით. მისი კერები ჩამოყალიბდა ზეზემდგომ, ვიზუალურად ჯანმრთელ ხეებზე. გარემო ხელსაყრელმა პირობებმა კერები გააფართოვა: 2002 წელს გაჩნდა სრულიად ახალი კერები, რომლებიც შარშან შემჩნეული არც ყოფილა!

მბეჭდავი ქერქიჭამია ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებულია ბაკურიანის, წაღვერის, კვ. 42,43,44, მზეთამზის, პატარა მიტარბის, №9, პატარა ცემის ტერიტორიაზე, ახალი კერები ჩამოყალიბდა კეჩხობის, კიმოთესუბნის, ბორჯომის, კორტანეთის, ახალდაბის, საკირის, ჭობისხევის, ტაძრისის ფართობებზე. მავნებლის დასახლება შეიჩნევა ღეროს მთელ სიგრძეზე თითქმის კენწერომდე. დაზიანებულია როგორც პატარა, ისე დიდი დიამეტრის ნაძვის ხეები. მდგომარეობა საეალბლოა.

წლეულს, იელისში ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მიმდინარეობს არსებული კერების შერეთება და მბეჭდავი ქერქიჭამიის არეალის კვლავ გაფართოება (წაღვერი, კიმოთესუბანი, მზეთამზე) და ნაძვის ხეები ინტენსიურად ხმებიან.

წიწვოვანი კორომები შედარებით ნაკლებად არის დაზიანებული ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე. აღინიშნება დაზიანების ჯგუფური ხასიათი, რომელიც კორომებში ლაქების სახითაა წარმოდგენილი (ლიკანი, ბანისხევი). აქაც ნაძვები თანდათან ხმებიან.

სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს ვიორეგ გიგაურთან თქვენი გაზეთის კორესპონდენტის ინტერვიუში სწორად არის აღნიშნული, რომ ბორჯომის ხეობაში გავრცელებულია არა „ექესკბილა“, არამედ მბეჭდავი ქერქიჭამია. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ მონაცემებს, თითქოს მავნებელი 15 ათას ჰექტარზეა გავრცელებული. რადგანაც ბორჯომის ხეობაში ნაძვი სულ 18 ათას ჰექტარს მოიცავს, ვერც იმაში დავეთანხმებით, რომ აღცილებელი იყოს მავნებლით დაზიანებული გაქერქილი ხეების ჰექსაქლორანის 20-პროცენტიანი კონცენტრატის და ემულსიის გამოყენება (ესეც არასწორი ფორმულირებაა, აღრე გამოიყენებოდა ჰექსაქლორანის კონცენტრატის ემულსია და არა „კონცენტრატი და ემულსია“) გარდა ამისა, ჰექსაქლორანი და მისი გამა-იზომერი, რომელიც გამოყენებული იყო ნაძვის დიდი ღაფნიჭამიას წინააღმდეგ, აკრძალულია. როგორც ქლორორგანული პრეპარატი და ამოღებულია საქართველოში დაშვებული პრეპარატების სიიდან (ის საქართველოში 1999-2003 წლებში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სია).

როგორც მბეჭდავი ქერქიჭამიის ისე ღეროს სხვა მავნებლების მიმართ, საერთოდ, მიღებულია დაზიანებული, მოჭრილი ხეების გაქერქვა. მაგრამ ეს ღონისძიება უნდა ჩატარდეს მატლისა და ჭუპრის ფაზაში და არავითარი ქიმიური დამუშავება საჭირო არ არის.

ბორჯომის ხეობაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ მცენარეთა დაცვის და სამთო მეტყევეობის ინსტიტუტების მეცნიერებისა და მეტყევე პათოლოგების მონაწილეობით უნდა ჩატარდეს ბორჯომის ხეობის ნაძვნარების დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდეს მბეჭდავი ქერქიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებები. ნაძვნარების დეტალური პათოლოგიური გამოკვლევის მეთოდური მითითებები მოამზადა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა და გადაეცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

ბორჯომის ხეობის ტყეები შეფასდა ითხოვენ და მას სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება.

ირაკლი შავლიაშვილი,
საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 209, პარასკევი, 30 აგვისტო, 2002 წელი.

დედოფალი

7 ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

ჩვენ რაც გვაქვს, სწორედ ის შემოგვაქვს, რატომ?

შტრიხები პორტრეტისათვის

ვიტალი კვინიხიძე. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 1987 წელს საფუარის ახალი ტექნოლოგიის შექმნაში საკავშირო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შვიდი გამოგონების ავტორი, 1979-1981 წლებში იყო პურის № 6 ქარხნის დირექტორი, შემდეგ სს — „პური არსობისა" გენერალური დირექტორი, იმავდროულად საფუარის ქარხნის დირექტორიც.

ამჟამად პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე და სს „თბილისური საფუარის" დირექტორია.

— საქართველოს რა უჭირს საიმისო, მშიერი იყოს და წლობით სხვისი დახმარების მოლოდინში იმყოფებოდეს, ნუთუ გამოცდილებამ არაფერი გვასწავლა?

ბატონმა ვიტალიმ თვითონ დასვა ეს კითხვა და შეეცადა პასუხიც გაეცა, — ნუთუ არ დადგა დრო, ბიზნესის საქმეში ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს სიტუაცია, რომ ვიცოდეთ — რისი გაკეთება გვინდა და რას ვაკეთებთ. ვადასტურებ, რომ არსებული საგადასახადო კანონმდებლობით თეთრი ბიზნესი აკრძალულია. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის წყალობით ჩვენი მეწარმე მუდმივად რაღაცას იპარავს, მაგალითად, ელექტროენერგიას, გაზს, მოიხმარს იაფად ნაშოვნ კონტრაბანდულ ნედლეულს, ამიტომ მის მიერ გამოშვებული პროდუქცია ხშირად უვარგისია, მაგრამ იაფი, გეკითხებით, როდემდე?

ქურდი თუ ხარ, მუდმივად ქურდის კანონით უნდა იცხოვრო, მე ქურდობას ვერავინ დამასწრებს, მაგრამ არ მინდა. დიდი ცხოვრებისეული გზა იმიტომ გამოვიარე, ვიქურდრ და შავი ბიზნესით დავკავდე? ჯერჯერობით ცოტას კიდევ მოვიცდი, თუ არაფერი არ შეიცვალა სასიკეთოდ, მერე ალბათ, მეც ისე მოვიქცევი, როგორც ბევრი ჩემი კოლეგა. მაგრამ მანამდე? მანამდე ხომ მინდა არსებობა?

— ბატონო ვიტალი, საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამ, რაც პურის მსხვილ, თუ წვრილ ბიზნესში ჩართულ მეწარმეს უკავშირდება, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია არა მარტო მეწარმეებში, არამედ მოსახლეობაში, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ პოლიტიკაშიც კი, ამიტომ, საინტერესო იქნებოდა თქვენთან საუბარი, მაგრამ მე დღეს თქვენთან სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით მოვედი. პურის საკითხებზე მსჯელობა სხვა დროისათვის გადავდოთ და დღეს ასე მივიწყებულ ქართულ საფუარზე ვისაუბროთ.

— კი, ბატონო, როგორც გენებოთ, ისე კი ძალიან მიკვირს, თქვენი რედაქციის მეტი არავინ არ დაინტერესებულა ამ ქარხნის ბედით.

— არავისთვის დასამალი არ არის, რომ დღევანდელი ბაზარი გაჯერებულია ძირითადად თურქეთიდან შემოტანილი საფუარით. რა არის ამის მიზეზი? ნუთუ საფუარის დამზადებაც აღარ შეგვიძლია? თუ ბაზარს ვერ ვუმკლავდებით? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოსა და ამერიკავკასიის ქვეყნების 10 წლის წინანდელი გამოცდილებით საფუარის წლიური წარმოება ერთ სულ მოსახლეზე 1,2 კგ-ს შეადგენდა, საქართველო ყოველწლიურად მოიხმარდა 6000 ტონას, ხოლო ამერიკავკასიაზე გაანგარიშებით ეს ციფრი დაახლოებით 18.500 ტონას შეადგენდა. თქვენი კომენტარი?

— მართალი ბრძანდებით, საფუარის ქარხანა თბილისში 1968 წლიდან არსებობს. ამ პროდუქტზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი წილი კმაყოფილდებოდა სწორედ, თბილისის საფუარის ქარხნის პროდუქციით, რომელიც მთლიანად მოიცავდა საქართველოს ბაზარს, ხოლო პროდუქციის 50-60 პროცენტი ამერიკავკასიის ქვეყნებში გაჰქონდა. ქარხანა მთლიანად საბჭოთა ტექნიკური ბაზით იყო აღჭურვილი. მაგრამ მძიმე კრიმინოგენური და პოლიტიკური სიტუაციის გამო 1994 წელს ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა. ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ საფუარის ბაზარი გაიყიდა. ხომ გესმით, რას ნიშნავს ეს? მავანმა თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციით მთლიანად აითვისა ჩვენი ბაზარი, რადგან მოძველებული ტექნოლოგიებით წარმოებული ჩვენი პროდუქცია არაკონკურენტული გახდა.

ხომ ცნობილია, წარმოებას ვერ შექმნი, თუ ბაზარი არ გაქვს, ამიტომ ჯერ ბაზარი უნდა აითვისო, იქ მიხვდები, წარმოება რენტაბელური არის, თუ არა.

ხაზგასმით მინდა ვთქვა — თუ რომელიმე წარმოებას მუშაობის პერსპექტივა აქვს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის საფუარის ქარხანაზე და აი, რატომ. პური შეიძლება სახელდახელოდ აგებულ თონეში გამოაცხო, არაყი კიბის ქვეშ, დამალულად ჩამოასხა, მაგრამ საფუარის ქარხანას ასე ჰაიჰარად ვერ გააკეთებ. რადგან ტექნოლოგიური ციკლი ურთულესია და პროფესიონალიზმი სჭირდება.

ტყუილად არავინ არაფერს არ მოგვცემს, აქაც კი, საფუარის ქარხანაში მაქვს საკუთარი, მეწილის გარეშე 8-9-ტონიანი წარმადობის პურის ახალი საამქრო. მაგრამ რა, გქონდეს, თუ ვერ აამუშავებ, რად გინდა?

დღეს ეს ქარხანა დაკონსერვებულია, გარედან უბადრუკად გამოიყურება, ტექნიკური ბაზა მთლიანად გადასაიარაღებელია, ხოლო კადრების ძირითადი ბირთვი სხვა, შედარებით დაბალანაზღაურებად სამუშაოთი დაკავებული.

— საინტერესოა, როგორია დღეს ბაზრის მოცულობა და არსებული ფასები საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში. მოთხოვნა რომ იყოს, არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების წყაროები?

— დღესდღეობით საფუარის წლიური მოხმარება საქართველოში თითქმის 4500 ტონაა, ხოლო ამიერკავკასიის ბაზრის ჯამური რაოდენობა დაახლოებით 20000 ტონას შეადგენს. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიაში არ არსებობს საფუარის მწარმოებელი მოქმედი ქარხანა, რომელიც ბაზრის 5 პროცენტს მაინც მოიცავდა. მოთხოვნის დაკმაყოფილება ძირითადად თურქული, რუსული და სხვა რამდენიმე ქვეყნის წარმოებული პროდუქციით ხდება. ხოლო წამყვანი ადგილი ამიერკავკასიის ბაზარზე თურქულ საფუარს ეკუთვნის.

თურქეთში 1 კგ საფუარი დაახლოებით 65-70 ცენტი ღირს. საქართველოში კი საწყის ფასზე ტრანსპორტირების და განბაჟების სარჯების, ასევე იმპორტიორის მოგების დამატების შედეგად საფუარის ფასი 1,3-1,4 დოლარს აღწევს. სომხეთისა და აზერბაიჯანში ფასები ჯერ უფრო მაღალია, რადგან საქონელი მათთან ორი საზღვრის გადლაი მოდის. ასე, რომ ამიერკავკასიაში საფუარის ფასები დაახლოებით 2-2,5-ჯერ მაღალია თურქეთში მის საბითუმო ფასზე.

ფასებს შორის ასეთ განსხვავებას ის აძლიერებს, რომ ბაზარზე არ არსებობს მსხვილი იმპორტიორი. საქონლის შემოტანა ხდება მცირე პარტიებად, რაც არ იძლევა მასშტაბების გაზრდის საშუალებას.

იხ. მე-8 გვ.

საძოვრები

დარგის გაჩანაგების უპირველესი მიზეზი

საქართველოში დღეს მეცხოველეობა იმდენად საეჭვო მდგომარეობაშია, რომ მინიმუმამდეც კი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. საზოგადოებრივ სექტორში იგი თითქმის აღარ არსებობს, კერძო სექტორში კი გამოცოცხლება რამდენადმე საგრძნობია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ერთ დროს მომგებიანი დარგი, დღეს წამგებიანია. განსაკუთრებით მეცხვარეობა, რომელმაც ბოლო წლებში აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა, თუმცა იგი თავისი მრავალფეროვანი პროდუქციით წამგებიანი არასოდეს არ ყოფილა და ალბათ, არც მომავალში იქნება.

მეცხოველეობის გაჩანაგების უპირველესი მიზეზი საკვებწარმოების უკიდურესი ჩამორჩენილობით უნდა ავხსნათ.

ჩვენი ბაზრები სავსეა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი, ხშირად გამოსაყენებლად ვადაგადასული ხორცის პროდუქტებით, რაც ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს. ყოველივე ამის გამო აუცილებელია ჩვენი მოსახლეობა უზრუნველვყოთ საკუთარი ადგილობრივი პროდუქციით. ეს კი გადაუდებლად მოითხოვს მეცხოველეობის მაღალ დონეზე განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია ცხოველთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, სასელექციო-სანაშენო მუშაობის გაღრმავება, ვეტერინარულ-პროფილაქტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მეცნიერულ მიღწევათა წარმოებაში დანერგვა, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში სასარგებლო ცვლილებების შეტანა, ცალკეული დარგების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია...

უცოდინარობისა თუ მოუქნელი მუშაობის შედეგად ჯერ კიდევ ვერ ვახორციელებთ მაღალხარისხოვანი საკვების (თივა, სილოსი, სენაჟი, კომბინირებული საკვები და სხვა) დამზადებისათვის საჭირო წესების დაცვას. საკმაოდ ირღვევა საკვების დამზადების, შენახვისა და გამოყენების ტექნოლოგიური ნორმები, რის შედეგადაც იგი ყუათიანობის დაქვეითებით ცხოველისათვის უვარგისი ხდება. ვერ გავუმჯობესეთ საძოვრების ზედაპირული და ძირეული თეისებები, ვერ მოვსპეთ შხამიანი და სარეველა მცენარეები. ამის გამო წლიდან-წლამდე მცირდება ბალახნარის ხარისხი და მოსავლიანობა.

სათიბ-საძოვრებზე მცენარეული საფარის ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წყლისა და ქარის მიერ ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ცნობილია, რომ საქართველოში ყოველწლიურად ასეულობით ჰექტარზე მცირდება საკვების მოსავლიანობა, რაც რაღა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა პროდუქტიულობაზე, ნახირის სტრუქტურაზე თაობის მომცემი დედა პირუტყვის რაოდენობაზე და საბოლოო ჯამში მეცხოველეობის სათანადო რაოდენობის პროდუქტებით მოსახლეობას ვეღარ ვაკმაყოფილებთ.

ცხოველთა სრულფასოვანი ულუფებით კვების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარკოსანი საკვები კულტურების (იონჯა, სამყურა, სოია, ესპარცეტი და სხვა) თესვამოყვანის გაფართოებას, საფერმო თესლბრუნვისა და მწვანე კონveიერის ორგანიზაციას, შუალედური და სანაწვერალო კულტურებით სარგებლობას, სარწყავი სისტემის სრულყოფას, კომპლექსური მექანიზაციის განვითარებას, სხვადასხვა ნარჩენების (ტყის, ვენახის, ბოსტნეულის და სხვა) გონივრულად გამოყენებას...

როგორც ცნობილია, ნორმალური კვების პირობებში, ცხოველს ყოველ ერთ საკვებ ერთეულზე უნდა ეძლეოდეს 105-110 გრამი ცილა. ფაქტობრივად კი, ვერ ვაძლევთ ამის ნახევარსაც. ცილის ნაკლებობის შემთხვევაში კი ცხოველისაგან დიდი რაოდენობით და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება ყოვლად შეუძლებელია, რადგან ცილის შეცვლა სხვა ნივთიერებით არ შეიძლება. ამ შემთხვევაში პარკოსან მცენარეთა გონივრული გამოყენება გარკვეული დონით გაადიდებს ულუფაში ცილების რაოდენობას.

მეცხოველეობის აღდგენაში დიდი როლის შესრულება აკისრია თრიალეთის, ანუ მესხეთ-ჯავახეთისა და მთავარი კავკასიონის მთებში აურაცხელი რეზერვების სრულყოფით გამოყენებას. მესხეთ-ჯავახეთის მთების ქვედა ზონის, ანუ საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებს, სრულებით ვერ იყენებს მომთაბარეობას დაქვემდებარებული პირუტყვი. ხშირად ამ საძოვრებს საკმაოდ მძიმე პირობებში ქირაობენ ქართველი მწყემსები. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საძოვრების გამოყენების საქმეს გადასინჯვა სჭირდება.

მეცხოველეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ამ წერილში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრა აუცილებლად მიმაჩნია. უამისოდ, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში მეცხოველეობა სათანადოდ ვერ დაგვეხმარება.

იოსებ მოსაშვილი,
პროფესორი.

მესაქონლეობა



ნერგავენ მეცნიერულ მიღწევებს

მესაქონლეობა ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. იგი ჩვენი ცივილიზაციის გარიჟრაჟზეა ჩასახული. ადრიდანვე წინაპარს საქონლისათვის მარჩენალი შეურქმევია. ჩვენი წინაპრის მიერ პირუტყვზე მზრუნველობის მკაფიო გამოხატულება, პირუტყვის მოვლა-შენახვის დიდი ტრადიცია და საქონლის სადგომის უშუალო სიახლოვე ადამიანის სამყოფელთან მესაქონლეობის მაღალი კულტურის, პირუტყვის სიყვარულის ანარეკლია.

საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლამ სულ სხვაგვარად დააყენა მესაქონლეობის განვითარება, ფერმერულ მეურნეობებში არსებული საქონელი ფაქტიურად აღურიცხავია. არ ხდება საქონლის სანაშენე დაყოფა, არ მიმდინარეობს სელექციური მუშაობა და ნაკლებად (ფაქტიურად არ) ხდება მეცნიერული მიღწევების დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში.

მეცნიერული შესწავლისა და მისი მიღწევების დანერგვის გარეშე დღეს წარმოუდგენელია მესაქონლეობის განვითარება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ჯერ კიდევ შემორჩენილ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ექსპერიმენტულ მეურნეობებში.

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ფერმერული გლეხური მეურნეობების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონის ამაღლება წარმოადგენს.

ამ საკითხის დადებითად გადაჭრის საქმეში უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებულ ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერული-ტექნიკური პროგრამის დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების მიერ გამოცხადებულ კონკურსის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. მაგალითად შეიძლება გამოვყოთ „ძერძეული მესაქონლეობის პროდუქტიულობის გაზრდის გაუმჯობესებული ტექნოლოგიების დემონსტრირება-გავრცელება".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოცხადებული კონკურსის შესაბამისად მეცნიერული მიღწევების დანერგვა უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება არა თითოეულ ფერმერთან (გლეხთან), არამედ კვლევითი ინსტიტუტების შესაბამის ექსპერიმენტულ მეურნეობებში.

ასეთად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამგრეველოს მეურნეობა-ქარხნის მეცხოველეობის ფერმა.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს როგორც ძერძეული მესაქონლეობის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას და რძის წარმოების ზრდას, ასევე ადგილობრივი ჯიშის საქონლის პროდუქტიულობის ამაღლებასაც. თითოეულ ფერმერს (გლეხს) დაარწმუნებს მეცნიერებისა და ფერმერთა (გლეხთა) ერთიერთთანამშრომლობის აუცილებლობაში.

რევაზ ფაცურიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ПРОБЛЕМА

ჩვენ რაც გვაქვს, სწორედ ის შემოგვაქვს, რატომ?

(მეშვიდე გვერდიდან)

იმპორტის ასეთი არასტაბილური და არა ოპერატიული ხასიათი ასუსტებს ბაზარში არსებულ კონკურენციას, დარგში შეღწევის ბარიერებს, ამცირებს რისკს და კაპიტალდაბანდებათა სასურველი მოცულობის დონეს.

– თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, არსებობს ბაზრის განვითარების პერსპექტივები?

– საფუარის ბაზარი ჩვენ პერსპექტიულ დარგად გვესახება. აშკარაა, რომ მიუხედავად პოლიტიკური თუ სხვა სირთულეებისა, აღნიშნულ პროდუქტზე არის და მომავალშიც შენარჩუნებული იქნება მოთხოვნის მაღალი დონე.

ჩვენ შევიმუშავეთ პროექტი საქართველოში საფუარის აღგილობრივი წარმოების აღდგენისა და განვითარების შესახებ. მისი მიზანია საფუარის წარმოების დაწყება საქართველოში. საწყის ეტაპზე ნავარაუდევია აღგილობრივი ბაზრის 65 პროცენტით ათვისება, ამისათვის ქარხნის სიმძლავრე წელიწადში 3000 ტონა საფუარს უნდა შეადგენდეს.

პირველ ეტაპზე, პროექტის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში, იქმნება პერსპექტივა შემდგომი განვითარებისათვის, საქართველოს ბაზრის მნიშვნელოვანი წილის ათვისებისა და მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე გაელით.

ზემოთ აღნიშნული სიტუაცია გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ საფუარის წარმოების დაწყება საქართველოში მომგებიანი იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ აღგილობრივი ქარხნის მიერ გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულება არა უმეტეს 80 ცენტი იქნება, იგი წარმატებით გაუწევს კონკურენციას იმპორტულ საქონელს.

აღგილობრივი პროდუქტი, ფაქტობრივად, იგივე ხარისხის იქნება, როგორიცაა თურქული (მსგავსი ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად) და ამასთანავე იაფი. მწარმოებ**ელს** ექნება უფლება დააწესოს ფასი 08-დან 1,3 დოლარამდე შუალედში.

– რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს?

– ჯერ კიდევ დანგრევას და გაძარცვას გადარჩენილი ეს შენობა, რომელშიც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, აქ მუშაობდნენ ნამდვილი პროფესიონალები, უმაღლესი რანგის ტექნოლოგები, ასევე მარკეტინგის სფეროს მუშაკები, რომელთაც დიდი გამოცდილება გააჩნიათ არსებული ქარხნის მართვაში, ძველი ტექნოლოგიების მოდერნიზებაში და აქვთ ფართო კავშირები ამ დარგის სპეციალისტებთან მეზობელ ქვეყნებში.

გარდა ამისა, ქარხანას 3 ჰექტარი მიწის ფართობი გააჩნია, აქ არსებობს წყლისა და საწვავის რეზერვუარები და სხვა, აღსანიშნავია, აგრეთვე, ქარხნის მოხერხებული მდგომარეობა სარკინიგზო ხაზის სიახლოვეს და ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, თუ იქნება ფინანსური შესაძლებლობა, წარმატებით განვახორციელოთ პროექტი – საფუარის აღგილობრივი წარმოების აღდგენისა და განვითარების შესახებ, მაგრამ უფულობა გვიშლის ხელს.

– თქვენი აზრით, რა რაოდენობის ინვესტიცია იქნება საჭირო?

– დაახლოებით 3.500.000 ევროს რაოდენობით. ქარხნის დამონტაჟებას, გამოცდას და გაშვებას 6-12 თვე დასჭირდება. დასახელებული თანხა შეიძლება ითქვას მიზერულია ისეთი რანგის ქარხნისათვის, რომელიც პერსპექტივაში აუცილებელ მოგებას მოგვცემს. ცარიელი ხელით ხომ არ ვიწყებთ საქმეს? ვიმეორებ, გვაქვს შენობა, ფართობი, შესაფერისი კადრები. ეს ცოტას ნიშნავს? მით უმეტეს, ამ დარგის სირთულის გამო, აღნიშნულ ბაზარზე სხვა მსგავსი მწარმოებლის გამოჩენა უახლოეს მომავალში ნავარაუდევი არაა. იქნებ გამოჩნდეს ვინმე ინვესტორი, ჩვენ მზად ვართ მასთან ვითანამშრომლოთ როგორც დაკრედიტების, ასევე ინვესტირების, ან ლიზინგის პირობებში.

მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ ასეთ შემთხვევაში მეტი დაინტერესება და სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა გამოიჩინოს ამ დარგის მიმართ, ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ეკონომიკა პოლიტიკიდან შორს უნდა იყოს, პირიქით, ორივე ერთმანეთს ავსებს, მაგრამ დღეისათვის ჩვენთან როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ვითარება მეტისმეტად დაძაბულია, ხოლო კორუფციის დაძლევის გზებზე საუბარი სახელისუფლო ორგანოების კულისებს ვერა და ვერ გასცდა, არადა, ხომ ყველამ კარგად ვიცით, კორუფცია მანამ არ მოისპობა, ვიდრე ხელფასები არ მოწესრიგდება, ფაბრიკა-ქარხნები არ ამუშავდება, სამუშაო აღგილები არ გაჩნდება და ხალხი არ დასაქმდება. დღეს ხომ მასიური უმუშევრობაა ჩვენთან, ბიუჯეტს შემოსავლები აკლია, რადგან გადასახადებს მალავენ და არ იხდიან, მის ამოღებას კი ისეთი საკანონმდებლო ბაზა სჭირდება, სადაც დამნაშავე კანონით დაისჯება, სადაც მოგებას ნახავს არა მარტო მეწარმე, არამედ ქვეყანაც. ამისთვის კი, პირველ რიგში, ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო, რასაც მე ხშირად ვერ ვხედავ.

ვინც გამუდმებით ყველაფერს სხვას აბრალებს, ავიწყდება, რომ ეს ყველაფერი მისი ბრალიცაა.

ხალხის გამოღვიძება ან ანელებს, ან აჩქარებს პოლიტიკურ პროცესებს, საბოგადოება კი კელავ ბელადის მოლოდინშია.

პირადად მე მირჩევნია მწარე სინამდვილე ვთქვა, რომელიც იოლი საგარებელია, ვიდრე ტკბილად ვიცრუო, შემდეგ კი მძიმე ტვირთით მთელი ჩემი ცხოვრება ვიარო...

ასეთი სიტყვებით დასრულდა ინტერვიუ საფუარის ქარხნის დირექტორთან ვიტალი კვინიხიძესთან, რომელიც დღეს, მართალია, თავის ამქარში მარტოა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, იმედს მაინც არ კარგავს, რადგან „ძალა მესწევს ქადილისა“...

ნაზი იმნაიშვილი.

ДИМИЛИ



ჭიპების „გამოფენა“.

САФИЦРАЛИ

წერილები სამცხე-ჯავახეთიდან

ქართველი ხალხის ცხოვრებაში იშვიათად ყოფილა პერიოდი, რომ იარაღის ხელში აღება და გარეული თუ შინაური მტრებისაგან თავის დაცვა არ დასჭირვებოდა. მე არ შევუდგები იმის კვლევა-ძიებას, რუსეთთან შეერთებამ ბედნიერება მოუტანა საქართველოს თუ პირიქით, ერთს კი ვიტყვი, დღევანდელ საქართველოს ნამდვილად უჭირს, უჭირს არა მარტო ეკონომიურად, არამედ ფიზიკურად და მორალურადაც, რადგან ქართველმა ხალხმა ძალიან ბევრი რამ დაკარგა. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ ჩანს. უბედურება ისაა, რომ არათუ დაკარგულის დაბრუნება, არამედ ჩნდება „პერსპექტივა“ ახლის დაკარგვისაც და ეს არის სამცხე-ჯავახეთი, რომელსაც არცთუ იშვიათად მოიხსენიებენ, ამ ბოლო ხანებში, როგორც ე.წ. „ცხელ წერტილს“.

ღვთისა და კაცისაგან ამ უპატრონოდ მიტოვებული კუთხის დასაპატრონებლად რაღას არ კადრულობს ზოგიერთი ჩვენი „კეთილი მეზობელი“. საკმაოდ ცნობილი ფაქტია, როგორი სერიოზული „შესწორებები“ შეიტანეს ჩვენმა სომეხმა მეზობლებმა სამხრეთ საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. დავანებოთ თავი ისტორიას და დღევანდელობას დავუბრუნდეთ. საოცარი კეთილმეზობლური დამოკიდებულების ფაქტად უნდა ჩაითვალოს ამ რამდენიმე წლის წინათ ამ რეგიონში აჭარიდან მოსახლეობის ჩამოსახლება, რაოდენ გულსატკენია, რომ თანდათანობით იზრდება იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც უკან ბრუნდებიან, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ თავის დროზე ამ ხალხის აქ ჩამოსახლება საკმაოდ

რაც ასე გვაწუხებს

პეტრეს წასვლა და პავლეს მოსვლა ცხოვრებას ვერ შეცვლის

სოლიდურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

დასამალი არაა, რომ სერიოზული პრობლემის წინაშე დგას სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ე. წ. „თურქი მესხების“ ჩამოსახლებასთან დაკავშირებით. იქნებ ზოგიერთებისთვის ეს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ჩვენთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის ეს ათასჯერ უარესია, ვიდრე ახმეტის რაიონში რუსების მიერ ჩამოყრილი ბომბები. მოსახლეობას შიშის ზარს სცემს და ყველაფერზე გულს უტეხს ამ საკითხზე გაუთავებელი ლაყბობა, რომ ვითომ ქრისტეანებმა გადაიარა და იქნებ გამოიდა-

როსო. სწორედ მაშინ მოგვეფლინებიან ის ჩვენი „მეგობარი ჩალმოსნები“ ჯგუფ-ჯგუფად და „გვიმეღებენ“, ღღეს თუ არა, ხვალ მაინც აქ ეიქნებითო და ნიშნად დასტურისა, ჩვენივე ხელისუფლების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს გვიფრიალებენ თვალწინ.

დიდ იმედებს ვამყარებდით სულ ახლახან ჩატარებულ აღგილობრივი მმართველობის არჩევნებზე. მაგრამ არც ამან მოიტანა შედეგი. არცაა გასაკვირი. პეტრეს წასვლა და პაველს მოსვლა ცხოვრებას ვერ შეცვლის. თუმცა, ქართველი ხალხის ხიდარობიდან გამოყვანის 15 წლიანი პროგრამა გრანდიოზულ გეგმებსა და იმედებს ვაჩენს.

ღღეს ჩვენი ხალხის (და არა მარტო ჩვენი) მთავარი საზრუნავია საარსებო წყაროს გამონახვა. ამჟამად ჩვენს სოფლებში ყველაზე ბედნიერ კაცად ის ითვლება, ვისაც თუნდაც ერთი ტომარა გაუხსნელი ფქვილი აქვს ბეღელში.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ღღევანდელი ცხოვრების დონითაა გამოწვეული, აღგილობრივ ხელისუფლებას კი ეს ნაკლებად უნდა აწუხებდეს, რადგან ფიქრობენ, რომ ასეთ სოციალურ გარემოში მყოფი ადამიანები ნაკლებ საშიში არიან „პოლიტიკური თვალსაზრისით“.

ზურაბ სხირტლაძე

გაძვალტყავებული ბიუჯეტის მძიმე ტვირთი

1990 წლის მაისში ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ზემო ენთელი, ფხერო, შოყა და შეიქმნა ახალი სასოფლო საბჭო სოფელ ფხეროში.

იმ დროისათვის ეს იყო სრულიად გამართლებული და აუცილებელი გადაწყვეტილება. ყველასათვის ცნობილია, რომ ადიგენის რაიონი იყო ერთი პირველთაგანი საქართველოში, სადაც ექსპერიმენტის წესით 1989 წლის დასაწყისში გაუქმდა საბოგადოებრივი მეურნეობები და შეიქმნა გლეხური მეურნეობები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა ე.წ. საწარმოები, რომლებიც თავს ვერ ართმევდნენ საქმეს, დაგროვდა უამრავი სამუშაო – მიწების გადანაწილება და კერძო საკუთრებაში გადაცემა, მანქანა-ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების, შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა და სხვა უამრავი დიდი თუ პატარა პრობლემა იყო გადასაჭრელი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ აუარებელ განცხადებებზე, ცნობებზე, მიმართვებზე და სხვა დოკუმენტაციების წარმოებაზე, რასაც ბოლაჯურის სასოფლო საბჭო ხუთ სოფელში ნამდვილად ვერ აუდიოდა.

მას შემდეგ მეთორმეტე წელი იწურება, ვითარება სრულიად შეიცვალა, მიწები პატრონებს ჩაბარდა, გასაყიდი – გაიყიდა, დასაშლელი – დაიშალა, დასანგრევი დაინგრა... ერთადერთი სერიოზული სამუშაო, რაც ამჟამად საკრებულოებს აკისრიათ, მმაჩის ბიუროსთან ურთიერთობა და ხელფასების გამოტანა-გაცემაა. რაც შეეხება პირველს, გარდაცვლილებზე საგრუნავმა ნამდვილად იმატა, ხოლო ქორწინება-შობადობა ისე შემცირდა, რომ თუ ვინმეს შემთხვევით ასეთი რამ გაახსენდა, ალბათ, უცხოპლანეტელად მოსათვლელად, რაც შეეხება ხელფასებს, არც იმაზე სჭირდებათ ძალიან ხშირად თავის შეწუხება. ამიტომაცაა, რომ საკრებულოს მესვეურები თვეში ერთხელ-ორჯერ გამოჩნდებიან სოლმე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, არის თუ არა საჭირო ფხეროს საკრებულოს გაუქმება და მისი კელავ ბოლაჯურის საკრებულოსთან შეერთება?!

ამჟამად ეს ისევე აუცილებელი და გადაუდებელია, როგორც მისი თავის დროზე გამოყოფა იყო საჭირო. რადგან ფხეროს საკრებულო (და არა მარტო ფხეროს საკრებულო, მისი მსგავსი „ფხეროები“ რესპუბლიკაში არც ისე მცირეა), საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ისედაც გაძვალტყავებულ ბიუჯეტს. ამას თვითონაც ძალიან კარგად გრძნობენ გამგებელი და მისი ამალის წევრები და ამიტომაცაა, რომ თვეში ერთ-ორჯერ მაინც შეიკრიბებიან სოლმე გამოციყვებულ რეზიდენციაში.

მართალია, ღღეს ჩვენს პირობებში რომელიმე ორგანიზაციის დაშლაზე და გაუქმებაზე კი არა, ადამიანების დასაქმებაზე და შრომითი პირობების გაუმჯობესებაზე უნდა ელაპარაკობდეთ. მაგრამ ეძიქმედოდ და უშრომლად ხელფასის აღება სულმდაბლობაა, ხმა რომ არაფერი ვთქვათ.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ფხეროს საკრებულოს გაუქმება ჩემი სურვილი და ახირება იყოს. ეს საკრებულოში შემავალი სამივე სოფლის მოსახლეობის ერთსულოვანი მოთხოვნაა, იქ მომუშავეებმა, მაგრამ გულშემატკივრებმა უნდა შეიგნონ, რომ მათი მოქმედება ხალხის წინაშე დანაშაულის ტოლფასია.

ზურაბ სხირტლაძე.

სარედაქციო კოლეგია:

როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), **ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიძიშვილი** (ტექნიკური რედაქტორი), **სპარტაკ ძობულია, ლია ჭიღლაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განცხადება

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი პირადი შემადგენლობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით კვების პროდუქტების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს

შესყიდვის ობიექტებია:

№	კვება		
	დასახელება	ვანზ.	რაოდენობა
1	წიწიბურა	ტონა	10
2	ხორცი გაყინული	„–„	10
3	თევზის კონსერვი	„–„	12

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2002 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად. **DDP** პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცენტრალური ბაზა, ქიზიყის ქ. № 1.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა საქართველო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი), შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380060, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604, 16 სექტემბრიდან 18 სექტემბრის დღის 17 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

– ცნობას საქართველოს ნოგარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან სასამართლეული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

– ცნობას, შესაბამისად, უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

– ცნობას, მინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაიელის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის შემდეგ, 25 სექტემბრიდან, 27 სექტემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე – **ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604.** სატენდერო მოსაკრებლის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში – 1512. სახელმწიფო სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, ეროვნული ბანკი, კოდი 220101107 ა/ა 000141107.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

დამტკიცებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – მამუკა ხელაძე **(ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12, მე-6 სართული, ოთახი № 604)**. ტელეფონის ნომერი: 37-83-28

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 2002/2003 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე (წარმოებისაგან მოწყვეტით):

1. **მაკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა** – 08 00 03
2. **ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი** – 08 00 05
3. **სექტორული ეკონომიკა, მენეჯმენტი** – 08 00 07
4. **სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა** – 08 00 14

ასპირანტურაში მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სპეციალური განათლება და არჩეული სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟი არანაკლებ 1 წლისა. 2001/2002 წელს კურსდამთავრებულები მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით.

ასპირანტურაში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი; ფოტოსურათი – 2 ცალი, დამოწმებული ორგანიზაციის კადრების განყოფილების მიერ; უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი და ამონაწერი, ჩათვლის უწყისიდან. რეფერატი არჩეულ სპეციალობაში; გამოქვეყნებული შრომების სია (თუ გააჩნია). უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში შემსვლელთათვის უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (რეკომენდაცია).

ასპირანტურაში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანსა და უცხო ენაში (არჩევანის მიხედვით), საბუთები მიიღება 2002 წლის 1 ნოემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილებაში. მისამართი: 380008, თბილისი, მ. ზანდუკელის 16., ტელ: 93-10-28.

განცხადება

2002 წლის 21 სექტემბერს 14 00 საათზე, სს „პლასტიკის“ იურიდიულ მისამართზე: თბილისი, ჯიქიას ქ. № 4, გაიმართება სს „პლასტიკის“ აქციონერთა საერთო კრება.

კრების დღის წესრიგი:

1. სს „პლასტიკის“ 10 ივნისის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე გამოთქმული შენიშვნების შემსწავლელი კომისიის მუშაობის შედეგების განხილვა;
2. სს „პლასტიკის“ სალიკვიდაციო პროცესის დაწყება.

საზოგადოების დირექტორატი რეკომენდაციას გიწევთ დაიწყოს საზოგადოების სალიკვიდაციო პროცესის წარმოება, აღნიშნული მიზნით შეიქმნას საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია, საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ სს „პლასტიკის“ ქონება განაწილდეს საზოგადოების აქციონერებს შორის საბალანსო ღირებულებით.

აქციონერთა კრებაზე თქვენი მონაწილეობის უფლებას შემოწმება შეგიძლიათ 2002 წლის 11 სექტემბრიდან სს „პლასტიკის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე: თბილისი, ჯიქიას ქ. № 4.

სააღრიცხვო დღედ დადგინდეს 2002 წლის 13 აგვისტო.

დირექტორატი.

განცხადება

საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მცხეთის რაიონის სამმართველო და მცხეთის რ-ნის დაბა ბაჰესის საკრებულო აცხადებენ დაბა ბაჰესის ტერიტორიაზე არსებული ბაჰესის ქვესადგურის №№ 7, 19, 21, 22 ფიდერებიდან გამომავალი 6 და 0,4 კვ ძაბვის ხაზების კუთვნილების შესახებ.

აღნიშნული ქსელების პოტენციურმა მფლობელებმა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: მცხეთის რნი დაბა ბაჰესი, კასკადის ქუჩა № 43, დაბა ბაჰესის საკრებულო. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქსელები გამოცხადდება დაბა ბაჰესის საკრებულოს ქონებად.

ქონების მართვის მცხეთის რაიონის სამმართველო; დაბა ბაჰესის საკრებულო.

ტელევიზია

პარასკევი, 30 აგვისტო

1

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.10 დოკ. ფილმი „ეს არის ომი“ 08.35 სერიალი **"საზღვარი პოლიცია"** 09.25 მულტფილმი "მაგი მეკობრე" 10.15 სერიალი **"ქალის წინ"** 10.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" 11.15 სერიალი **"ფსიქოვაკერი"** 12.15 სერიალი **"სანსაცია"** 12.40, 18.50 ვიდეოსატრული 12.50 სატ. კ.დარბაზი **"ინდი-ბინდი"** 14.05 დოკ. პროგრამა "ადამიანი ამბორი" 15.15 მ. ფილმი **"ცოფიანი"** 16.45 "მეგრი" 17.15 50-50 18.00 "ვაკანსია" 18.20 სერიალი **"სანსაცია"** 19.00 ფეხბურთი უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის მაჩაჩი: ტალინის **"ბულვერი"** - თბილისის **"დინამო"** (მაჩაჩის ფრაგმენტები) 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი **"ფსიქოვაკერი"** 21.45 "თბილისის დროითი" 22.05 სატ. სპექტაკლი **"ნოველა სიყვარულზე"** 23.35 ტელესერიალი **"ძალის წინ"** 00.10 დოკ.სერიალი **"ბეოცა საუკუნე"** 00.30 სერიალი **"საზღვარი პოლიცია"**

2

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.30 მ. ფილმი 21.15 სერიალი **"ახალოდ შენითვის"** 22.10 ავტაბეთის ტელეკინო 22.40 მ. ფილმი **"მოგიბანეთ მევის დვის თავი"**

4

07.00 მუსიკა 07.30 ჯეკულების ნიგნი 08.00 კურიერი 08.55 სერიალი **"სიყვარულის საბელით"** 09.50 კომუნიკატორი 10.40 ცხოველთა ომები 11.10 სერიალი **"ოცნების ოფეისი"** 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მ. ფილმი 15.20 მ.ფილმი 17.05 ლუსი და კლარი 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ცხოველთა ომები 18.55 კოტის ნაალვარეს ოდისეა 19.50 სერიალი **"ოცნების ოფეისი"** 22.00 სერიალი **"პოლეგრეკეისი"** 22.50 კურიერი 23.45 ეუფას ოფეიერ თასი; "რელი" - "ფენიოორდი" 02.10 მ.ფ. **"ვირუსების რეალი"** (ბოლოს ეკუს ბოლდერი, ეფენ ჩენსი)

ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

გასულ სამშაბათსა და ოთხშაბათს ევროპაში, შეიძლება ითქვას, დიდი ფეხბურთის დღეები იყო: გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მესამე წრის მეორე ტურის მაგჩები, სადაც ფავორიტებმა კვლავ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი. ამ მაგჩების გარდა, შუა კვირამი ინგლისის პრემიერლიგის რამდენიმე მეხვედრაც მოეწყო, გაიმართა ინტერტოტოს ფინალის განმეორებითი მაგჩებიც. თუმცა, ვთქვათ თანმიმდევრობით:

„ბაიერნი“ – „პარტიზანი“ 3:1 (3:0);
„ფენერბახჩე“ – **„ფეიენოორდი“** 0:2 (0:1);
„სპარტა“ – **„გენკი“** 4:2 (0:2);
„მანჩესტერი“ – „ფალაიგერსეგი“ 5:0 (0:1);
„ინტერი“ – „სპორტინგი“ 2:0 (0:0);
„შტურმი“ – **„მაკაბი“** 3:3 (0:2);
აეკი – „აპოელი“ 1:0 (3:2),
„ოსერი“ – „ბოავიშტა“ 0:0 (1:0);
„ბრიუგე“ – „შახტარი“ 1:1 (1:1) პენ. 4:1;

„დინამო“ (კ.) – „ლევსკი“ 1:0 (1:0);
„ნიუკასლი“ – „ველენიჩარი“ (ბოსნია) 4:0 (1:0);
„ლიბერეცი“ (ჩეხ.) – „მილანი“ 2:1 (0:1);
„ლოკომოტივი“ (მოსკ.) – „გრაცერი“ – 3:3 (2:0);
„ბრონდბიუ“ (დან.) – **„რუსენბორგი“** (ნორ.) – 2:3 (0:1);
„ბაზელი“ (შვეიც.) – **„სელტიკი“** 2:0 (1:3);
„ლეგია“ (პოლ.) – **„ბარსელონა“** 0:1 (0:3).

(მსოფლიოში სახელგანთქმული გუნდების სახელები მოცემულია ქვეყნებისა და ქალაქების მიუთითებლად).

„ინტერტოტოს“ თასზე სამი შეხვედრა (განმეორებითი მაგჩები) ასე დამთავრდა:

„შტუტგარტი“ – „ლილი“ 2:0 (0:1);
„ფულჰემი“ – „ბოლონია“ 3:1 (2:2);
„მალაგა“ – „ვილიარეალი“ 1:1 (1:0).

ინგლისის პრემიერლიგის III ტურის მაგჩების შედეგები ასეთია: „არსენალი“ – „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 5:2, „ჩარლტონი“ – „ტოტენჰემი“ 0:1, „ასტონ ვილა“ – „სიტი“ 1:0,„ლიდსი“ – „სანდერლენდი“ – 0:1, „საუთჰემპტონი“ – „ჩელსი“ 1:1, „ბლეკბერნი“ – „ლივერპული“ 2:2, „ევერტონი“ – „ბირმინჰემი“ 1:1.

ბუმინ ჩვენმა გუნდებმა – თბილისის „ლოკომოტივმა“ და „დინამომ“ უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურის გაწმეორებითი შეხვედრები გამართეს: „ლოკომოტივმა“ – მინდენის „კოპენჰაგენთან“, „დინამომ“ კი ტალინში, ადგილობრივ „ფემკ“-სთან (ამ მაგჩერის შედეგები იხ. ჩვენი გაზეთის პირველი გვ.).

ჭადრაკი

„გრან-პრი“ — გურევიჩს

თურქეთში დამთავრდა ევროპის ჭადრაკის კავშირის ეგიდით გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირი – იზმიტის „გრან-პრი“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 136 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის 13 – საქართველოდან.

მთავარი პრიზებისათვის იბრძოლეს ევროპის წამყვანელი ჩემპიონი ბულგარელი ანტონი ხალეევი, რომელსაც ... ...

საქართველოს რესპუბლიკა
№ 209. პარასკევი, 30 აგვისტო, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ლები (ზის): ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ნათლული ეკა ჩიქოვანი-ჩხეიძისა, ლგას ძაგუ ჩიქოვანი-ზგალობლიშვილისა. სურათი გადაღებულია ქ. ქუთაისში, ფოტოგრაფ მ. კაჩხოვეის მიერ 1912 წელს.

მოგვაწოდა ირინე უშვერიძემ.

კონკურსი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

პრემიები დაწესებულია:

1. ლიტერატურის, 2. მუსიკის, 3. სახვითი ხელოვნების, 4. თეატრალური ხელოვნების, 5. კინო ხელოვნების, 6. მხატვრული, ასევე რადიო-ტელეკუალიფიკაციისა და 7. არქიტექტურის დარგებში.

საკონკურსოდ მიიღება ნაშუშევრები, რომლებიც დასრულებული სახით გამოქვეყნებულია (ნაჩვენებია, აგებულია, შესრულებულია) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე – 2000 წლის 1 სექტემბრიდან 2002 წლის 1 სექტემბრამდე.

წარდგინებათა მიღების უკანასკნელი ვადაა 30 სექტემბერი. ლაურეატობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ, ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე, პრესა და ტელევიზია ფართოდ გააშუქებს პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშუშევრებს, ხოლო კონკურსის შედეგები გამოცხადდება საახალწლოდ.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს შემოქმედებით კავშირებსა და სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებს, – გამომცემლობებს, რედაქციებს, თეატრებს, აგრეთვე, კულტურის სამინისტროს დროულად იმრუნონ საკონკურსო მასალების შერჩევასა და წარმოდგენაზე.

ცნობა საჭირო დოკუმენტაციის შესახებ

1. წარდგინება, ანუ აღწერა-დახასიათება ნაწარმოებისა, რომლის გამოც, წარმოადგენთ მის ავტორს სახელმწიფო პრემიაზე. დოკუმენტს ხელს აწერს წარმომდგენი;
2. პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები საკონკურსო ნაწარმოებების შესახებ;
3. კანდიდატის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია;
4. კადრების აღრიცხვის ფურცელი;
5. ლიტერატურული ნაწარმოები 15 ეგზემპლარად, დანარჩენ დარგებში საჭირო ფოტომასალა და სხვა მასალები ნაწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად;
6. კანდიდატის ორ-ორი ფოტოსურათი (3X4 სმ. და 6X9 სმ.)

ავტორთა კოლექტივების წარდგინებისას წესდებით დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს 4 კანდიდატისა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებით: 99-06-36, 99-64-82.

ხსოვნა

გივი ბაგრატიონ-დავითაშვილი

„ბაგრატოვანთა სახლი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების წევრი, მხატვარი, ქართველი ეროვნული, 6 შეილისა და 14 შვილიშვილის მამა და ბაბუა **გივი ბაგრატიონ-დავითაშვილი.** ბატონმა გივიმ ხალხს სახსოვრად დაუტოვა მის მიერ შესრულებული ხელოვნების ორიგინალური ნიმუშები ქვაში, რომლებიც განლაგებულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში, დღევანდელი საქართველოს პარლამენტის შენობის სვეტის თავები და მრავალი სხვა. მისი ოსტატობით უამრავი საფლავის წარწერებია შესრულებული. მისი თაოსნობით სოფელ აბანოში აშენდა მართლმადიდებლური ეკლესია.

თბილისს დაკარგა კიდევ ერთი ქართველი პატრიოტი. გვმშვიდობებთ, ბატონო გივი, დიდი ტკივილით და სინანულით. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.

ბაგრატოვანთა სახლი.

მინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ **ვინდია ამირანის ძე კობახიძის** ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავთანდილ კობახიძე ოჯახით იუწყება ძმისწულის **ვინდია ამირანის ძე კობახიძის** გარდაცვალებას.

დედა გულნაზი გოგილიძე, ძმა მალხაზი, და გვანცა, ბებია ეკატერინა, რძალი ნინო, ძმისწულები ლადო, სანა, მამიდა რუსიკო, დეიდები, ბიძები, ბიცოლები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვინდია ამირანის ძე კობახიძე

პანაშვიდი 30 VIII ქ. თბილისში, 4 სთ. ნუცუბიძის IV მიკრორაიონი, კორპუსი 8, ბინა 56. გადასვენება ს. ნიკორწმინდაში (ამბროლაურის რ-ნი), 31 VIII, 11 სთ. დაკრძალვა 3 IX, 3 სთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიავიშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ლვაწლმოსილი თანამშრომელი, კოლექტივის წევრი მისი დაარსების დღიდან 45 წლის მანძილზე

ნინა ლევანის ასული მასალაევა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მეუღლე მერი, შვილი მერაბი, ძმა გურამი, ძმისწულები მანანა, რამაზი, შვილიშვილები ნათია, თეონა, მერი, ნიკოლოზ ნიკოლაიშვილები, რძლები გულიკო ნიკოლაიშვილი, მაია ხიღურელი, რუსუდან ჩახავა, სიძე ოლეგ ლომთათიძე, ძმისშვილიშვილები ანა, გურამ, ლიზი ნიკოლაიშვილები, ცოლისძმები გურამ, შერაბ სანიკიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ (პაჭო) ნიკოლოზის ძე ნიკოლაიშვილი.

პანაშვიდი 30, 31 VIII, 5 სთ. დაკრძალვა 1 IX, 2 სთ. სამგრედიის ქ. II კ. III სართ. III სად. ბინა 50.

გიორგი და ცოლა თაბუკაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ვაჟა ბაგრატიონის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ზურა და რეზო თაბუკაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საყვარელი ბიძის

ვაჟა ბაგრატიონის

გარდაცვალების გამო.

სალომე ბოლქვაძე, თამაზ ლორთქიფანიძე, ზეინაბ გობეჩია, ნოდარ კუჭაიძე იზიარებენ დევი, ლევან და დათო ჩხეიძეების ღრმა მწუხარებას მეუღლისა და დედის

მზია იაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები მედიკო, სპარტაკ, მამუკა გოგინავები, რძლები ლილი დაუშვილი, ქეთი ქოქუაშვილი, ლუბა ფაჩუაშვილი, შვილიშვილები ქეთი, ლევან გოგინავები, ეკა ნარმანია, და თამარი, ძმა ამირანი, მძახალი კასანია დაუშვილი, სიძეები ეანო ნარმანია, ნიკა რაზმაძე, შვილთაშვილები, ძმისწულები თემური, ზაური, ნოდარი, ბესიკი, ნუკრი ოჯახებით, მაზლიშვილები ჩიგო, მეგი, მულიშვილები თამაზ აბაშიძე, ეთერ, დამირი, კლარა კვაშილავები, გივი ტორჩინავა ოჯახებით, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ბესარიონის ასული ფაჩუაშვილი-ბოზინავა

პანაშვიდი 1, 2 IX, 5 სთ. დაკრძალვა 3 IX, 3 სთ. ფოთი, აკაკის ქ. №24.

შვილები რეზო, ნანა, შვილიშვილი თეა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი

გალინა ერასტის ასული კოსტავა-ბოლნაძე

პანაშვიდი 30, 31 VIII, 5 სთ. დაკრძალვა 1 IX, 3 სთ. ცოტნე დადიანის (ყოფილი ოქტომბრის) №6.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფედერაციის წევრი

ილია (ილო) მეგარნიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ მალვინას და ბატონ მურთაზ მამისეიშვილს დედისა და სიდედრის

ბოგუცა ლავრენტის ასულ დოლიძე-ანდღულაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ნათესავებს.

გურამ დოლიძე ოჯახით თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს მადონა და ალეკო ქვახიებს დედისა და სიდედრის

ბოგუცა ლავრენტის ასულ დოლიძე-ანდღულაძის

გარდაცვალების გამო.

მაია და გურამ ახალაიები ოჯახით თანაუგრძნობენ მადონა და ალეკო ქვახიებს, მალვინა და მურთაზ მამისეიშვილებს, ელიკო და ვოვა ისელიძეებს დედისა და სიდედრის – სათნო და კეთილშობილი ქალბატონის

ბოგუცა დოლიძე-ანდღულაძის

გარდაცვალების გამო.

ძმა ვახტანგ შამილაძე, რძალი ლამირა აბაშიძე, ძმისწული ნანა შამილაძე, სიძე დათო დუმბაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მირიან შამილაძე.

პანაშვიდი 30 VIII, დაკრძალვა 31 VIII, 3 სთ. ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ახალშენი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი და ეთნოლოგიის კათედრა თანაგრძნობას უცხადებენ ეთნოლოგიის კათედრის გამგეს, აკადემიკოს ვახტანგ შამილაძეს ძმის

მირიან შამილაძის

გარდაცვალების გამო.

გახსენება

გელა შენგელია

სიკეთილის საიდუმლოში იოგისოდენა კანონზომიერება თუ არსებობს, რად დაუშვა უფალმა **გელა შენგელიას** ასე ნაადრევი, ალეგიკური სიკვდილი, რაგომ არ დაუდუნა იმავე წამს უკეთურს მასზე აღმართული ხელი, თორემ მერე ლოგიკურად მოხდა მოსახდენი – სანამ გელას სული ზეცას დავანდებოდა, იმ გარეწარმა საკუთარ თავს საკუთარი ტყვიით გამოუგანა ჩვენგან გამოსაგანი განაჩენი. ეს, რა თქმა უნდა, არც შვებაა და არც ნუგეში, მაგრამ ამითაც შესძლო გელამ, სიკეთილისთვის მოეგო წაგებული თამაში.

გელა ხომ იმათ ეკუთვნოდა და ეკუთვნის, ვინც სამართლის მქნელებად არიან ამ ქვეყნად მოვლენილნი. სწორედ ასეთების ხშირად არ ესმით ირგვლივ მყოფთ. ეს ბუნებრივია, რადგან ისინი დამნაშავეს მყუდროების ურღვევენ და დისკომფორტს უქმნიან, ამიტომაც პერიფრაზით თუ ვიტყვით – სამართლის მქმნელს ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდეს. არადა, ჩვენს სინამდვილეში ამ უკანასკნელთ, როგორც წესი, ცხენი მზად არ ჰყავთ (უფრო ხშირად საერთოდ, არ ჰყავთ ცხენი!). ამის გამოც არის, რომ დამნაშავეთა ტყვიით გამეგებით იღუპებიან ჩვენი ბიჭები.

ერთი ასეთი სამართლის მქმნელი იყო გელა შენგელია – ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გახმაურებული პოლიციელი, არაორდინარული ხელწერითა და შეურყეველი რეპუტაციით... როგორ ახერხებდა გელა საკუთარ პოზიციაზე მყარად დგომას? ამ კითხვაზე პასუხი მასაც ჩვენებრ ჰქონდა – საქმის სიყვარული ყველა ჭირს იგებსო. მის პიროვნებაში აკი ამიტომაც იყო ლამაზად შერწყმული სამართლის მქმნელობა, შემწყნარებლობა, სხვისი აზრის დაფასება და პრინციპულობა, კეთილგონივრულობა და კაცთმოყვარეობა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ იგი, არცთუ იშვიათად, მიდიოდა მისთვის არამომგებიან, სარისკო საქმეებზე. ამის მაგალითია 29 აგვისტოს საბედისწერო ოპერატიული ღონისძიებაც. ეს ობიეგტელისთვის გაუგებარი ქმედებაა, ჭეშმარიტი პოლიციელისთვის კი ცხოვრების კრედო.

გელა არ მიჰყვებოდა მანკიერ მდინარებას – წინა ხაზზე სხვა გაეგზავნა. თავად კი უკან მიდევნებოდა. ის ვაუკაცი იყო და სისხლხორცში ჰქონდა გაბჯნილი სამართლის მსახურება. სწორედ ამიგომ იყო იგი საოცრად შემთხოვნი საკუთარი თავისადმი. ეს საშური თვისება, ნათლად მისი სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა, რიცა საზოგადოება გაეცნო მის მიერ ნაკეთებ საქმეებს, რომლებიც პროფესიის გამო, სიცოცხლეში თავად არავისთვის გაუმხელია.

ერთწლიანი მონაგრებით გამოწეული სევდით ვიგონებთ გელას და ვულს გვიკლავს, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე იმედიანად რომ საუბრობდა საკუთარ ქორწილზე და...

და გელა უკვე აღარ დგას ჩვენს შორის, არ ისმის მისი იმედიანი სიტყვა, მაგრამ გარშემო მყოფნი ვიმეორებთ მას! და რამხელა ამბავია – შენი არყოფნის შემეგეგც რომ ცოცხლობს შენი ორანი, შენი საქმე და ბედს დაუმორჩილებელი სული!

წელიწადი გასულა მისი გარდაცვალებიდან და ჩვენი მონაგრებაც წლისაა. სხვამ შეიძლება, არ იცოდეს, მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვიცით, რამდენი ჩანაფიქრი და ტკივილი ჩაიყოლა საფლავში.

გელა მართლაც იყო პოლიციის ორგანოების სინდის-ნამუსი, გიპერი ქართველი კოლხეთიდან, უნიდო კაცი, ნაღდი კაცური საზომებით.

უფალს შევთხოვთ, ისე აღადგინოს და გააძლიეროს იგი, რომ დედამ და ძმამ მიწიერად იგრძნონ მისი დროებითი გაცლა ამ წუთისოფლიდან, რომელიცა „სიცოცხლესა ზედა ძევს“.

ვაჯერა, გელა იქიდანაც შეეცდება ჩვენს გამხნევებას, რათა დარდით არ ჩაეღიმოთ წუთისოფელი. რადგან ასეთია ცხოვრება, მით უფრო პოლიციელთა – ბოგი მიდის და ბოგი რჩება. მაგრამ გელა „ბოგი“ არ იყო. ამიტომაც ვეღალსონ, გამოეგზავნოთ მისი სახელი დაეწყვეტის და. სიცოცხლე რომ ვერ შეეჭიდარსენეთ. სსოვნა მაინც ვაეუსახურლადოთ.

მსს სისხლის სამართლის სამმართველოს მთავარი სამმართველო.

ტარიელ ჯიბუტი



ჩვენო **ტარიელ,** არასდროს დავიჯერებდით, შენზე მოგონების წერილის დაწერა თუ მოგვიწევდა. ჩვენს გუნდში გამორჩეული იყავი სიცოცხლის სიყვარულით, დაუშრეტელი ენერგიით, პეწით, ლაბათით და ოჯახის სიყვარულით.

ერთი წლის წინათ სარეცელს მიჯაჭვულს გამხნევებდით, როგორც შეგვეძლო. შენც თვითონ არ იჯერებდი უკურნებელი სენის არსებობას. მარიამობის დღესასწაულის დღეს ამაღლდა შენი სეგეკი სული ცაში. გვაკლიხარ ყველას. შენი სამუშაო კაბინეტის კარები ერთი წელია, არავის შეუღია, თითქოს გელოდებოდეთ...

ჩვენს ხსოვნაში დარჩები მუდამ, სანამ ვიარსებებთ შენი მეგობრები, როგორც ნათელი სვეტი.

მეგობრების ჯგუფი „თბილმეტრომშენიდან“.

მეუღლე მაია ამაშუკელი, შვილები ზურაბ, ია შენგელიები, სიმამრი ზურაბ ამაშუკელი, სიდედრი რუსუდან ხუჭუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა შენგელია.

პანაშვიდი 1, 2 IX, 5 სთ., დაკრძალვა 3 IX, 4 სთ., ხაბეიშვილის ქ. მე-2 კორპ.

რეზო, გულიკო, ბაია ამაშუკელები, მიმა ობოლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა შენგელია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

არჩილ პაგარიძე, მარიკა სუმბათაშვილი, თამაზ პაგარიძე, შორენა ლორთქიფანიძე, თომა ქურციკიძე და მანანა პაგარიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი მანდილოსანი, უახლოესი ნათესავი და მოყვარე

ჩუბუ ლასხიშვილი-ერემეიშვილისა

და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს ბაგონ ავთანდილ ერემეიშვილსა და მისი დიდი ოჯახის ყველა წევრს.

მეუღლე ავთანდილ ერემეიშვილი, შვილები ბიძინა, მაია, მარიკა, რძლები ნანა თვალავაძე, ბუთულა ლორთქიფანიძე, სიძეები ბენია აბრამიძე, დათო მაჭავარიანი, შვილიშვილები ავთო, თამუნა, ნინო, დაკო, თემო, ბიძაშვილები ნაილი, ნონა, ელინა გიორგაძეები, დეიდაშვილი აჩიკო პაგარიძე, მული ეთერ ერემეიშვილი, მძახლები გეგა, რევაზ თვალავაძეები, თამარ, გურამ აბრამიძეები, ნათელა წერეთელი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჩუბუ ბიძინას ასული ლასხიშვილი-ერემეიშვილი.

პანაშვიდი 31 VIII, 5 სთ. გამოსვენება 1 IX, 3 სთ. მისამართი: ვანი, 26 მაისის ქუჩა №38.

სს „საქგაზის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა მსს „ვანიგაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილის ავთანდილ ერემეიშვილის მეუღლე

ჩუბუ ლასხიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გია ითონიშვილი და თეონა ჩარკვიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სავული მარსაგიშვილის

დელა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ღიმილის დოზა



ირლანდია. ქუჩაში დიდი ჩხუბია.

მოჩხუბრებს მიუახლოვდა ერთი კაცი და ეკითხება:

— უკაცრავად, ეს კერძო ჩხუბია, თუ გარეშეებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება?

* * *

აი, სწორედ ამ ადგილზე გუშინ გამხადეს და გამაუატიურეს, — ამბობს ქალი და სადარბაზოს წინ ბუჩქებზე მიუთითებს.

— ნუთუ მაცხოვრებელთაგან მილიციას არავინ შეატყობინა?

— შეატყობინეს. მაგრამ ხომ იცით ჩვენი მილიციის ამბავი — ყველგან და ყოველთვის იგვიანებენ: მოვიდნენ მაშინ, როდესაც უკვე ვიცვამდი.

* * *

პატრიოტიზმისა და ნოსტალგიის ბრძოლა რუსეთში: დაინახა მალაზიის თაროზე პორტვეინი „კავკაზი“.

* * *

მენიუ მაკდონალდსში:

ფუნთუშა კატლეტით — ჰამბურგერი.

ფუნთუშა კატლეტით და ყველით — ჩისბურგერი.

ფუნთუშა არაფრით — ფოკბუზგერი.

* * *

ხუმრობა ძალიან მიყვარს... მაგრამ ჩემი თეთრი კბილები მენანება.

* * *

ორი მუსიკოსი ხვდება ერთმანეთს. ერთის შვილმა კონსერვატორია დაამთავრა და სამუშაოს ვერ შოულობს. მამა მუსიკოსი მეგობარ მუსიკოსს სთხოვს დაეხმაროს შვილის მოწყობაში. მეგობარმა დახმარება აღუთქვა. შეთანხმდებიან, რომ მეორე დღეს შვილი ორკესტრანტებთან გამოსაცდელად მივიდოდა.

ასეც მოხდა. წავიდა შვილი გამოცდაზე, და, შინ დაბრუნებულს, მამა ეკითხება:

— მიგიღეს ორკესტრში?

— არა!

— რატომ?! ყველაფერი შეთანხმებული იყო: შენ ერთხელ უნდა დაგერტყა დოლზე!

— ავაცდინე...

* * *

სარეკლამო აქცია: „თუ ჩვენს სამშობიარო სახლში მესამე ბავშვი შეგეძინებათ, მეოთხეს სრულიად უსასყიდლოდ გაჩუქებთ“.

* * *

„სწავლა, სწავლა და სწავლა, ლენინი“...

ვინ თქვა, არ მახსოვს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

სულიერება

(პირველი გვერდიდან)

თელავს წმინდა ნინოს ტაძარი აშენებს

ბუსგად ხუთი წლის წინათ, საქართველოს პრეზიდენტის მამინდელმა სახელმწიფო რწმენებულმა კახეთის მხარეში გია არსენიშვილმა წამოაყენა წინადადება: იმაზე დიდი მალლი რა უნდა იყოს, გიგოს ეორაზე გაძარი ავიგოთ და აქაურობას ახალი სულიერი და მნეობრივი სიცოცხლე დავუბრუნოთ. გია არსენიშვილის იდეა ყველას მოეწონა...

მალე ეს აღგილი, თელავლთა თხოვნით, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II აკურთხა და დაიწყო ფიქრი კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად. როცა წმინდა ნინოს ეკლესიის მთავარმა არქიტექტორმა კოტე პაპალაშვილმა და თელავის რაიონის გამგეობამ პროექტი საქართველოს საპატრიარქოს მეუთანხმეს, შეირჩა კახეთის მხარეში პატიოსნებით და შრომისმოყვარეობით გამორჩეული მშენებელთა მცირე ჯგუფი, – სამუშაოთა მწარმოებლის რამაზ პალიაშვილის და ბრიგადის თავკაცის ზალიკო მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით.

თვრამეტი თვის წინათ, გასული წლის სექტემბერში, პირველი აგური დაიდო წმინდა ნინოს ტაძრის მშენებლობაზე. თელავლელებმა და მოწვეული სტუმრებით აივსო ვიოოს ეორა და ტაძრის მიმდებარე ტერიტორია. აქ მოვიდნენ ქვეყნის ძალოვანი სამინისტროების ხელმძღვანელები, – კობა ნარჩუმაშვილი, ეალერი ხაბერძანია, შინაგანი ჯარების სარდალი ეიორგი შერეაშიძე, რომლებიც პანკისის ხეობაში დაწყებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას ხელმძღვანელობენ.

ლავის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა როინ ჭიკაძემ, მწერალმა ლადო მრელაშვილმა და სხვ.

თელავლელთა საერთო განწყობის გამოსახატავად გავესაუბროთ რწმენის ახალი სახლის, წმინდა ნინოს ტაძრის კურთხევის მონაწილეებს.

ბალიკო მჭედლიშვილი, ძეგლის მშენებელთა ხელმძღვანელი: ეს ჩვენი მხარის საერთო-სახალხო მშენებლობა გახლდათ. განსაკუთრებით მიხაროდა ბავშვების, ახალგაზრდების სიმრავლე ეკლესიის მშენებლობის დაწყების პირველი დღიდანვე. გამბაოცეს თელავის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, – რა ვიკაკაცურად, თავგამოდებით შრომობდნენ... ამ სკოლის მოსწავლეების ვახტანგ, თორნიკე, ბექა და სულ პატარა ერეკლე დათიშვილების შემოწირულობით მაცხოვრის ხატი შეეძინეთ ეკლესიისთვის, თელავის IX საშუალო სკოლის მოსწავლეების ანა და ელენე მამუკელამვილების შემოწირულობით ჯვარი აღიმართა ტაძრის გუმბათზე, სოფელ კისისხევის საშუალო სკოლის მოსწავლეების ნინო და თამარ ბურუშვილების შემოწირულობით ჭაღი აბრდღვიალდა ტაძარში.... გულწრფელი მადლობა მათ.

დეკანოზი დავით ჭრიტიძე, ალავერდის ტაძრის მოძღვარი: გული სიკეთით და სიამაყით მაქვს სავსე. რა ლამაზი, მდიდრული ტაძარი გამოვიდა. მშვიდობა და ღვთის წყალობა ტაძრის მშენებლებს. ამ წუთას მათ ჩვენი წმინდა მეფის ვახტანგ VI-ის დიდი სიყვარულით მივმართავ: „კაცმან უნდა თავიდანვე საქმე ისე მოიკარგოს, ამ სოფელში ხელი ჰყოროს, იმ სოფელშიც რომ იკარგოს, სახელის ხე საჩრდილობლად, გზისა პირსა სადმე დარგოს“... დარწმუნებული ვარ, წმინდა ნინოს ტაძარი თელაველთა სულის გამწმენდი, სულის საჩრდილობელი უწმინდესი აღგილი იქნება...

მერი გაალიშვილი, გაზეთ „თელავის მოამბის“ რედაქტორი: ქალბატონი მედიკო მეზვრიშვილი რომ არ ყოფილიყო, დღეს ჩვენ აღარ გვექნებოდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი უდაბნოში, – ბრძანა ერთხელ თელავის პირველ საშუალო სკოლაში სტუმრობისას ბატონმა ლევან სანიკიძემ. – გიგოს ეორაზე წმინდა ნინოს ტაძრის მშენებლობის და მარიამობის დღესასწაულზე ამ ტაძრის კურთხევისთვის ჩვენი გაზეთის სპეციალური ნომრის მზადების პერიოდში მქონდა დიდი პატივი შეეხვედროდი სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, ალავერდის ეპარქიის მიტროპოლიტს დავითს, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმენებულს კახეთის მხარეში ბიძინა სონდულაშვილს, ეკლესიის მშენებლებს, იმ ადამიანებს, ვინაც თითო აგური მაინც დადო ტაძრის მშენებლობაზე... ყველა ერთხმად აღნიშნავდა, – ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი რომ არა, ჩვენ არც მწინდა ნინოს სახელობის ტაძარი გვექნებოდა! ვგონებ ამით ყველაფერია ნათქვამი...

ჭეშმარიტად, ამით ყველაფერია ნათქვამი. სიკეთე, სიმშვიდე და ჭირსა შიგან გამაგრება, თქვენ, ძლიერო და ამაყო თელაველებო! მხოლოდ სიკეთის, სიყვარულის, ნათლობის სანთლებს ეგიზგიზოს ახალ ტაძარში!

სპარტაკ ქობულია.
თელავი-თბილისი.

საგანგებო

ბოლო ინფორმაცია

ბაკურიანი. ბაკურიანის ბალახეულ ბოტანიკურ ბაღში ბალახეულ ბოტანიკურ ბაღში ბალახეულ ბოტანიკურ ბაღში